

**დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა :**

„საქართველოს ფასიანი ქაღალდების  
ცენტრალური დეპოზიტარის“  
პარტნიორთა საერთო კრების მიერ,  
25 ოქტომბერი, 1999 წ.

**ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი და დ ა მ ა ტ ე ბ ე ბ ი შ ე ტ ა ნ ი ლ ი ა :**

„საქართველოს ფასიანი ქაღალდების  
ცენტრალური დეპოზიტარის“  
პარტნიორთა საერთო კრების მიერ,  
28 თებერვალი, 2000 წ.

**ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი და დ ა მ ა ტ ე ბ ე ბ ი შ ე ტ ა ნ ი ლ ი ა :**

„საქართველოს ფასიანი ქაღალდების  
ცენტრალური დეპოზიტარის“  
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ:

6 დეკემბერი, 2001 წ;

11 სექტემბერი, 2002 წ;

25 ოქტომბერი, 2002 წ;

12 თებერვალი, 2004 წ;

19 მაისი, 2006 წ;

4 სექტემბერი, 2006 წ;

16 ნოემბერი, 2006 წ;

29 დეკემბერი, 2008 წ;

22 ნოემბერი, 2010 წ;

11 ნოემბერი, 2011 წ.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების  
ცენტრალური დეპოზიტარის“  
წესი  
ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ

# თავი I. განმარტებები

## მუხლი 1. განმარტებათა მოქმედების სფერო

- 1.1. სს “საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის” (შემდგომში “ცენტრალური დეპოზიტარი”) ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ წინამდებარე წესში, ცენტრალური დეპოზიტარის სხვა წესებში და, აგრეთვე, ხელშეკრულებებში, რომელის ერთ-ერთი მხარეა ცენტრალური დეპოზიტარი, ამ მუხლის მე-2 ნაწილში მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ტერმინის მნიშვნელობა განსხვავდება ქვემოთ მოყვანილი განსაზღვრებებისგან.
- 1.2. თუ ტერმინი არ არის განმარტებული წინამდებარე წესის მე-2 მუხლში მას გააჩნია კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

## მუხლი 2. განმარტებული ტერმინები

- 2.1. **კანონი** - „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი.
- 2.2. **ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობა** - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე (ან სამართლებრივი) აქტების ერთობლიობა.
- 2.3. **პირი** - რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი
- 2.4. **ანგარიში** - ფასიანი ქაღალდების ანგარიში ან ფულადი სახსრების ანგარიში - ელექტრონული ჩანაწერი, რომელიც ინახება ცენტრალური დეპოზიტარში და ასახავს ანგარიშის მფლობელის საკუთრების პოზიციას. ანგარიშები შეიძლება იყოს ექვსი კატეგორიის: 1) წევრის საკუთარი სახსრების ანგარიში; 2) მოვაჭრე წევრის საკლიენტო ანგარიში; 3) კასტოდიანი წევრის საკლიენტო ომნიბუს ანგარიში; 4) კასტოდიანი წევრის საკლიენტო სეგრეგირებული ანგარიში; 5) საკორესპონდენტო ანგარიში; 6) დროებითი საოპერაციო ანგარიში.
- 2.5. **ანგარიშის მფლობელი** - ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტი, რომლის სახელიც მფლობელის სტატუსით არის აღნიშნული რომელიმე ანგარიშზე ცენტრალურ დეპოზიტარში და რომელსაც აქვს ამ ანგარიშზე ოპერაციების წარმოების უფლება ცენტრალური დეპოზიტარის წესების შესაბამისად.
- 2.6. **ანგარიშსწორება** - ფასიან ქაღალდებზე და/ან ფულად სახსრებზე საკუთრების უფლების გადაცემა გარიგების პირობების, ცენტრალური დეპოზიტარის წესებისა და საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების შესაბამისად.
- 2.7. **ანგარიშსწორების თარიღი** - თარიღი, როდესაც ხდება საკუთრების უფლების გადაცემა ფასიანი ქაღალდების გამყიდველიდან მყიდველზე.

- 2.8. არასაბირჟო გარიგება** – ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ფასიანი ქაღალდებით დადებული გარიგება, რომელიც არ განხორციელდა ბირჟის სავაჭრო სესიაზე.
- 2.9. არასაბირჟო გარიგების დაფიქსირება** - ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის და ბირჟის სათანადო წესების მოთხოვნათა შესაბამისად საბროკერო კომპანიის მიერ დადებული არასაბირჟო გარიგების დაფიქსირება ბირჟაზე, ბირჟის სავაჭრო სისტემის მეშვეობით.
- 2.10. არასაბირჟო ფასიანი ქაღალდები** - ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არ განეკუთვნებიან საბირჟო ფასიან ქაღალდებს
- 2.11. ბირჟა** - კანონის შესაბამისად ლიცენზირებული საფონდო ბირჟა, რომელსაც მომსახურებას უწევს ცენტრალური დეპოზიტარი.
- 2.12. ბლოკირების ანგარიშები** - ანგარიშები, რომელზეც, შესაბამისად აღირიცხება ვალდებულებებით დატვირთული საკუთრების პოზიციები
- 2.13. განკარგულება** - ცენტრალური დეპოზიტარის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილება, ბრძანება, დადგენილება, ინსტრუქცია.
- 2.14. გარიგება** - ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტების მიერ დადებული ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების გასხვისების შესახებ. საბირჟო გარიგებათა შემთხვევაში, ტერმინი გარიგება განიმარტება იმ ბირჟის წესების შესაბამისად, რომელსაც საკლირინგო-საანგარიშსწორებო მომსახურებას უწევს ცენტრალური დეპოზიტარი, ხოლო არასაბირჟო გარიგებათა შემთხვევაში - კანონმდებლობით და ცენტრალური დეპოზიტარის წესებით.
- 2.15. გარიგებათა თანმიმდევრული ანგარიშსწორება** - ცენტრალური დეპოზიტარის მიერ შემოთავაზებული ანგარიშსწორების ფორმა. ანგარიშსწორება ხორციელდება გარიგებაში მოხსენიებულ მხარეებს შორის, იმ პირობით, თუ იმ მომენტში ცენტრალურ დეპოზიტარში მხარეთა მიერ უზრუნველყოფილია სათანადო ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების არსებობა.
- 2.16. გარიგების თარიღი** - თარიღი, როდესაც ხდება გარიგების დადება.
- 2.17. დაშვებული ფასიანი ქაღალდები** - ფასიანი ქაღალდები, რომელზეც დაშვებულია ოპერაციების წარმოება ცენტრალური დეპოზიტარის მიერ.
- 2.18. დროებითი საოპერაციო ანგარიში** - ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტის ანგარიში, რომლის გახსნა ხორციელდება მხოლოდ წევრის რეკომენდაციით და რომელზეც ოპერაციის (ტრანზაქციის) განხორციელებასთან დაკავშირებით კანონმდებლობისა და ცენტრალური დეპოზიტარის წესების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელია წევრი-რეკომენდატორი.

- 2.19. *ვალდებულებით დატვირთული პოზიცია* - საკუთრების პოზიციები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს გარკვეული ვალდებულების საგანს.
- 2.20. *თავისუფალი პოზიცია* - საკუთრების ის პოზიცია, რომელიც არ წარმოადგენს ვალდებულებებით დატვირთულ პოზიციას.
- 2.21. *ინსტიტუციური წევრი* - წევრი, რომელსაც არ გააჩნია კასტოდიანი წევრის ან მოვაჭრე წევრის სტატუსი და არის ქვემოთჩამოთვლილ პირთაგან ერთერთი მაინც: კომერციული ბანკი, სადაზღვევო ორგანიზაცია, საინვესტიციო ბანკი, საბროკერო კომპანია, კოლექტიური საინვესტიციო სქემა (საინვესტიციო ფონდი, საპენსიო ფონდი და ა.შ.) ან სხვა ფინანსური ინსტიტუტი, ან ემიტენტი, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია ცენტრალურ დეპოზიტარში,
- 2.22. *ინსტრუქციები საოპერაციო პროცედურების შესახებ* - ცენტრალური დეპოზიტარის მმართველი ორგანოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციები, რომლებიც დეტალურად ასახავს, თუ როგორ უნდა მოხდეს ცენტრალური დეპოზიტარის მიერ სხვადასხვა მომსახურების გაწევა ანგარიშის მფლობელებისათვის.
- 2.23. *კასტოდიანი* - პირი, რომელიც, როგორც ნომინალური მფლობელი, ინახავს და აღრიცხავს თავისი კლიენტების ფასიან ქაღალდებს და ფულად სახსრებს.
- 2.24. *კასტოდიანი წევრი* - წევრი, რომელიც ეწევა კასტოდიანურ მომსახურებას და არ გააჩნია მოვაჭრე წევრის სტატუსი
- 2.25. *კასტოდიანი წევრის საკლიენტო ომნიბუს-ანგარიში* - ომნიბუს ანგარიში, რომლის მფლობელია კასტოდიანი წევრი და: ა) იხსნება წევრის კლიენტი თითოეული ნომინალური მფლობელისთვის და გამოიყენება ამ ნომინალური მფლობელის კლიენტთა (ინვესტორთა) ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების კრებისათვის ადრიცხვისათვის; ან ბ) იხსნება წევრის კლიენტი რეგისტრირებული მესაკუთრეებისთვის და გამოიყენება მათი კუთვნილი ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების კრებისათვის ადრიცხვისათვის.
- 2.26. *კასტოდიანი წევრის საკლიენტო სეგრეგირებული ანგარიში* - სეგრეგირებული ანგარიში, რომლის მფლობელია კასტოდიანი წევრი და რომელზეც განცალკევებულად აღრიცხება თითოეული ინვესტორის ფასიანი ქაღალდები ან/და ფულადი სახსრები, რომლებიც წევრს გადაცემული აქვს ნომინალურ მფლობელობაში.
- 2.27. *კასტოდიანური მომსახურება* - ნომინალური მფლობელობის ფარგლებში, კლიენტების ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების აღრიცხვა და შენახვა, მათ შორის მეურვეობის უფლებით,
- 2.28. *კლირინგი* - გარიგებების ანგარიშსწორებისათვის მომზადების პროცესი, რომელიც მოიცავს გარიგებებზე ანგარიშგებას, გარიგებათა კორექტირებას და გარიგებათა გაუქმებას. (მათ შორის: ფასიანი ქაღალდების გადაცემის დავალებების, საგადახადო დავალებების და ინსტრუქციების შემოწმება, შედარება და ზოგიერთ შემთხვევაში

დადასტურება ანგარიშსწორების ჩატარებამდე. ის შეიძლება მოიცავდეს წმინდა პოზიციების განსაზღვრას (ნეტინგს) შემდგომი ანგარიშსწორების განსახორციელებლად; დადებულ გარიგებაზე ურთიერთ ვალდებულებების განსაზღვრას – ინფორმაციის მოგროვებას, შედარებას, კორექტირებას და სააღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას – და ფასიანი ქაღალდების მიწოდებისას ამ ვალდებულებების ურთიერთჩათვლას)

**2.29. კორპორაციული ქმედებები** - ემიტენტის (კორპორაციის) მიერ განხორციელებული მის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ისეთი ქმედებები, რომლებიც პირდაპირ და უშუალოდ ვრცელდება ამ ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელზე .

**2.30. მარეგულირებელი ორგანო** - ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო.

**2.31. მოვაჭრე წევრი** - ბირჟაზე ვაჭრობის უფლების მქონე წევრი.

**2.32. მოვაჭრე წევრის საკლიენტო ანგარიში** - ანგარიში, რომლის მფლობელია წევრი და რომელზეც აღირიცხება ფასიანი ქაღალდები ან/და ფულადი სახსრები, რომლებიც მას გადაცემული აქვს ნომინალურ მფლობელობაში წევრის კლიენტის მიერ..

**2.33. რეგისტრირებული მესაკუთრე** - პირი, რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა) არის ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელი, გარდა ნომინალური მფლობელისა;

ბ) ნებას რთავს ნომინალურ მფლობელს, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, იმოქმედოს მისი ინტერესებისათვის;

გ) იღებს ფულად მოგებას როგორც ფასიანი ქაღალდის მესაკუთრე;

დ) აქვს ფასიან ქაღალდთან დაკავშირებული ხმის განკარგვის უფლება;

ე) აქვს უფლება გახდეს ამა თუ იმ ფასიანი ქაღალდის რეგისტრირებული მესაკუთრე.

**2.34. რეგისტრირებული მფლობელი** - ფასიანი ქაღალდების მესაკუთრე ან ნომინალური მფლობელი, რომელიც რეგისტრირებულია ფასიანი ქაღალდების რეესტრში ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერებში.

**2.35. საანგარიშსწორებო ბანკი** - ცენტრალურ დეპოზიტარსა და მის წევრებს შორის ფულადი სახსრების გადარიცხვებისათვის ცენტრალური დეპოზიტარის მიერ შერჩეული საბანკო დაწესებულება/დაწესებულებები. ამ ბანკში/ბანკებში წევრებს და ცენტრალურ დეპოზიტარს უნდა ჰქონდეთ გახსნილი ანგარიშები.

**2.36. საბირჟო ფასიანი ქაღალდები** - მოქმედი კანონმდებლობისა და ბირჟის წესების მოთხოვნათა შესაბამისად იმ ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული ფასიანი ქაღალდები, რომელსაც საკლირინგო-საანგარიშსწორებო მომსახურებას უწევს ცენტრალური დეპოზიტარი.

**2.37. საბირჟო გარიგება** - ბირჟის სავაჭრო სესიაზე დადებული გარიგება.

- 2.38. საბროკერო კომპანია** - იურიდიული პირი, რომელსაც, კანონის შესაბამისად, აქვს საბროკერო საქმიანობის ლიცენზია.
- 2.39. სავაჭრო ანგარიში** - ანგარიში, რომელსაც ცენტრალური დეპოზიტარი შენახვის ანგარიშის მფლობელს, მისივე დავალებით უხსნის საბირჟო გარიგების განხორციელების მიზნით და რომელზეც აღირიცხება ბირჟაზე ვაჭრობისათვის განკუთვნილი საკუთრების პოზიცია. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის მფლობელი ახორციელებს გარიგებებს ერთზე მეტი წევრის მეშვეობით, მაშინ მას ეხსნება შესაბამისი რაოდენობის სავაჭრო ანგარიშები.
- 2.40. საკლირინგო ანგარიში** - ცენტრალური დეპოზიტარის მიერ წარმოებული ანგარიში, რომელზეც იგი აღრიცხავს თავის ანგარიშებზე საანგარიშსწორებო ბანკში/ბანკებში წევრებისაგან მიღებულ და წევრებისთვის გაცემულ ფულად სახსრებს.
- 2.41. საკუთრების პოზიცია** - ცენტრალურ დეპოზიტარში ცალკეულ ანგარიშზე ან ანგარიშებზე არსებული ფასიანი ქაღალდების ან/და ფულადი სახსრების რაოდენობა.
- 2.42. საკორესპონდენტო ანგარიში** - ანგარიში, რომლის მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ უცხო ქვეყნის ცენტრალური ან საერთაშორისო დონის დეპოზიტარი. ამ ანგარიშზე კრებსითად (ერთობლივად) აღირიცხება აღნიშნული დეპოზიტარების კლიენტების ფასიანი ქაღალდები ან/და ფულადი სახსრები.
- 2.43. სეგრეგირებული ანგარიში** - წევრის მიერ ცალკეული ინვესტორისათვის გახსნილი ანგარიში, რომელზედაც აღირიცხება ინვესტორის კუთვნილი ფასიანი ქაღალდები და ფულადი სახსრები.
- 2.44. ომნიბუს ანგარიში** - ორი ან მეტი ინვესტორისათვის გახსნილი ანგარიში, რომელზეც კრებსითად აღირიცხება მათი კუთვნილი ფასიანი ქაღალდები და ფულადი სახსრები.
- 2.45. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი** - ა) კორპორატიული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი; ბ) სამთავრობო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში - საქართველოს ეროვნული ბანკი ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული კომერციული ბანკი; გ) უცხოური ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში - ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო დეპოზიტარი ან უცხო ქვეყნის ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი.
- 2.46. შენახვის ანგარიში** - ანგარიში, რომელიც შეიცავს თავისუფალ პოზიციებს.
- 2.47. წევრი** - პირი, რომელსაც უფლება აქვს გახდეს წევრი კანონის და ცენტრალური დეპოზიტარის წესების შესაბამისად, აკმაყოფილებს “საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა შესახებ დებულების” მოთხოვნებს, გაფორმებული აქვს შესაბამისი (წევრობის, მომსახურების) ხელშეკრულება და უფლება აქვს მიიღოს ცენტრალური დეპოზიტარის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა სახის

მომსახურება.

- 2.48. *წევრის კლიენტი* - პირი, რომელიც შესაბამისი სახელმძღვანელო ურთიერთობით დაკავშირებულია ცენტრალური დეპოზიტარის წევრთან.
- 2.49. *წევრის საკლიენტო ანგარიში* - წევრის მიერ ცენტრალურ დეპოზიტარში გახსნილი ანგარიში, სადაც აღირიცხება წევრის კლიენტის ფასიანი ქაღალდები და ფულადი სახსრები. ასეთ ანგარიშებს მიეკუთვნება, მოვაჭრე წევრის საკლიენტო ანგარიში, კასტოდიანი წევრის საკლიენტო ომნიბუს ანგარიში და კასტოდიანი წევრის საკლიენტო სეგრეგირებული ანგარიში.
- 2.50. *წევრის საკუთარი სახსრების ანგარიში* - ანგარიში, სადაც ანგარიშის მფლობელი არის ცენტრალური დეპოზიტარის წევრი და სადაც აღირიცხება მისი საკუთრების პოზიცია.
- 2.51. *ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტი* - პირი, რომელსაც ცენტრალური დეპოზიტარი უწევს დეპოზიტარულ მომსახურებას.
- 2.52. *ცენტრალური დეპოზიტარის სამუშაო დღეები* - ყოველი დღე შაბათის, კვირის და ოფიციალური დასვენების დღეების გარდა.

## თავი II. ზოგადი დებულებები

### მუხლი 3. წესების მოქმედების სფერო

- 3.1. წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში “წესები”) შემუშავებულია ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის და ცენტრალური დეპოზიტარის წესდების შესაბამისად.
- 3.2. ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქციებია: ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობა, ფასიან ქაღალდებზე გარიგებებთან დაკავშირებული ცენტრალური კლირინგი და ანგარიშსწორება, მარეგულირებელი ორგანოს წესებით განსაზღვრული და მის წესებში ასახული სხვა მომსახურებები.
- 3.3. წინამდებარე წესები განსაზღვრავს ცენტრალური დეპოზიტარის მიერ შეთავაზებულ მომსახურებებს და მათი შესრულების ზოგად პროცედურებს, აგრეთვე ამ მომსახურებასთან დაკავშირებულ ცენტრალური დეპოზიტარისა და მისი წევრების უფლება-მოვალეობებს. ცენტრალური დეპოზიტარისა და კლიენტების სხვა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ცენტრალური დეპოზიტარის სხვა წესებითა და ხელშეკრულებებით.
- 3.4. სპეციალიზირებული საბირჟო აუქციონის მეშვეობით ფასიანი ქაღალდების გაყიდვისას ცენტრალური დეპოზიტარის მომსახურების გაწევის სპეციფიკა და მხარეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ცენტრალური დეპოზიტარის მიერ სპეციალიზირებული საბირჟო აუქციონის ორგანიზატორსა და გამყიდველთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

#### **მუხლი 4. საოპერაციო პროცედურები და ფორმები**

4.1. ცენტრალური დეპოზიტარი იღებს ინსტრუქციებს საოპერაციო პროცედურების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მომსახურების გაწევის კონკრეტული პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და მათი დამუშავების წესები, ვადები და ა.შ. საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების შესრულება სავალდებულოა ყველა წევრისათვის.

#### **მუხლი 5. ცენტრალური დეპოზიტარის განკარგულებები**

5.1. ცენტრალური დეპოზიტარის მმართველი ორგანოს მიერ გაცემული განკარგულებების შესრულება სავალდებულოა ყველა წევრისა და კლიენტისთვის.

#### **მუხლი 6. უცხოური დეპოზიტარები**

6.1. ცენტრალურ დეპოზიტარს შეუძლია გააფორმოს ხელშეკრულებები უცხოურ დეპოზიტართან, მათ შორის, უცხო ქვეყნების ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარებთან და ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო დეპოზიტარებთან (შემდგომში “უცხოური დეპოზიტარი”).

6.2. უცხოურ დეპოზიტარს შეუძლია აწარმოოს ანგარიშები და ჰქონდეს ფასიანი ქაღალდები ცენტრალურ დეპოზიტარში. ცენტრალურ დეპოზიტარს შეუძლია გააფორმოს ხელშეკრულებები უცხოურ დეპოზიტარებთან. უცხოურ დეპოზიტარებს შეუძლიათ შეინახონ მათი კლიენტებისათვის შეძენილი საქართველოს ფასიანი ქაღალდები მის (საკორესპონდენტო) ანგარიშებზე საქართველოს კანონმდებლობის და ცენტრალური დეპოზიტარის წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

#### **მუხლი 7. ურთიერთობები არაწევრ პირებთან**

7.1. ცენტრალურ დეპოზიტარს შეუძლია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ცალკე ხელშეკრულებები გააფორმოს ბანკებთან, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებთან, ბირჟებთან და სხვა პირებთან, რომლებთანაც ურთიერთობები აუცილებელია ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქციონირებისთვის.

#### **მუხლი 8. დავთრები და ჩანაწერები**

8.1. ცენტრალურმა დეპოზიტარმა არსებული წესების და საჭიროების მიხედვით უნდა აწარმოოს დავთრები, ჟურნალები და ანგარიშები წევრებისა და ანგარიშის მფლობელთათვის. ცენტრალური დეპოზიტარის დავთრებისა და ჩანაწერების წარმოება უნდა ხორციელდებოდეს საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების შესაბამისად.

## მუხლი 9. ინფორმაციის კონფიდენციალურობა

- 9.1. ცენტრალური დეპოზიტარის გენერალური დირექტორი და ის თანამშრომლები, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ ცენტრალური დეპოზიტარის სააღრიცხვო სისტემაზე ვალდებული არიან უზრუნველყონ იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა, რომელსაც ისინი შეიტყობენ თავიანთი მოვალეობებისა და დავალებების შესრულებისას.
- 9.2. ისეთი ინფორმაცია, როგორცაა ანგარიშის მფლობელის ვინაობა, საკუთრების პოზიცია, ანგარიშის მფლობელის გარიგებები, წევრების საკუთრების პოზიცია, ამ პოზიციებთან დაკავშირებულ ოპერაციათა ისტორია, ინფორმაცია და არსებითი ფაქტები ანგარიშის მფლობელთა საქმიანობის შესახებ, მათი ფინანსური მდგომარეობა ან პერსპექტივები უნდა ინახებოდეს კონფიდენციალურად.
- 9.3. თანამშრომლების და გენერალური დირექტორის ვალდებულება ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფაზე ძალაში რჩება მათი სამსახურეობრივი პოზიციის ან მოვალეობების დამთავრების თარიღიდან სამი წლის განმავლობაში.
- 9.4. ცენტრალური დეპოზიტარის გენერალურ დირექტორს და თანამშრომლებს ეკრძალებათ საკუთარი აზრის ან რჩევის მიცემა ფასიან ქაღალდებში ინვესტირებაზე, ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან გაყიდვის მომგებიანობაზე, ასევე რაიმე რეკომენდაციის გაწევა ფასიანი ქაღალდების საქმიანობის სფეროში მონაწილე პირების შესახებ.
- 9.5. ცენტრალური დეპოზიტარის თანამშრომლები და გენერალური დირექტორი, ისევე როგორც ცენტრალური დეპოზიტარის ყოფილი თანამშრომლები და გენერალური დირექტორი, არ არიან ვალდებული უზრუნველყონ ინფორმაციის კონფიდენციალურობა თუ:
  - ა) მონაცემები და ინფორმაცია საჯაროდ არის ცნობილი ან საზოგადოებისათვის სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი;
  - ბ) ინფორმაცია სტატისტიკური ხასიათისაა, კუმულატიურია ან ისეთი სახითაა შედგენილი, რომ ანგარიშის მფლობელის ან წევრის ვინაობა არ არის მითითებული;
- 9.6. ცენტრალური დეპოზიტარის თანამშრომლებს და გენერალურ დირექტორს, ისევე როგორც დეპოზიტარის ყოფილ თანამშრომლებს და გენერალურ დირექტორს, უფლება აქვთ გადასცენ კონფიდენციალური ინფორმაცია ცენტრალური დეპოზიტარის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით:
  - ა) მარეგულირებელ ორგანოს, სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს, კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

## **მუხლი 10. გადასახდელები, საურავები და ჯარიმები**

- 10.1. ცენტრალური დეპოზიტარის მიერ შეთავაზებული მომსახურების საფასური ჩამოყალიბებული უნდა იყოს დეპოზიტარის გადასახდელების ცხრილში (დანართი №1), რომელიც ეცნობება წევრებს და სხვა ანგარიშის მფლობელებს. ცენტრალური დეპოზიტარის გადასახდელების ცხრილი უნდა იძლეოდეს თითოეული გადასახდელის დათვლის მეთოდსა და/ან ფორმულას.
- 10.2. ამ წესების დარღვევისთვის ცენტრალურ დეპოზიტარს უფლება აქვს დააკისროს კლიენტს საურავები და ჯარიმები, რომლებიც განისაზღვრება ამ მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებულ გადასახდელების ცხრილში. ცენტრალური დეპოზიტარის გადასახდელების ცხრილი უნდა იძლეოდეს თითოეული საურავის და ჯარიმის დათვლის მეთოდსა და/ან ფორმულას.
- 10.3. საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებით უნდა განისაზღვროს წევრებზე დაკისრებული გადასახდელების, საურავების და ჯარიმების მოთხოვნის გაგზავნის წესი და ვადები, ასევე, წევრების მიერ ცენტრალური დეპოზიტარისათვის გადასახდელებისა, საურავების და ჯარიმების გადახდის წესი და ვადები.
- 10.4. ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია შეაგროვოს გადასახდელები, საურავები და ჯარიმები კლირინგისა და ანგარიშსწორების მომსახურების საშუალებით ანგარიშის მფლობელებთან შეთანხმებით, ან თუ ეს გადასახდელები, საურავები და ჯარიმები გადახდილი არ იქნება იმ ვადებში, რომელიც მითითებულია საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებში.

## **თავი III. დაშვებული ფასიანი ქაღალდები**

### **მუხლი 11. ფასიანი ქაღალდების დაშვება**

- 11.1. ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს დაშვებული ფასიანი ქაღალდების სიას, რომლებზეც შესაძლებელია ოპერაციების წარმოება ცენტრალური დეპოზიტარის მიერ. ცენტრალური დეპოზიტარი აქვეყნებს დაშვებული ფასიანი ქაღალდების სიას, რომელიც ხელმისაწვდომია წევრებისთვის და საზოგადოებისათვის, აგრეთვე დაუყოვნებლივ ანახლებს მას რომელიმე ფასიანი ქაღალდის დამატების, შეჩერების ან ამოღებისთანავე.
- 11.2. ცენტრალური დეპოზიტარის პოლიტიკაა წევრების და უცხოური დეპოზიტარების მოთხოვნის კვალობაზე დაუშვას მომსახურებისთვის ფასიანი ქაღალდები თავისი საოპერაციო შესაძლებლობების მასშტაბებში, ან უარი თქვას ახალი ფასიანი ქაღალდის დაშვებაზე. უპირატესობა მიენიჭება ისეთ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც ჩართულია ბირჟების ლისტინგში ან სხვაგვარად დაშვებულია ბირჟების სავაჭრო სისტემაში. კლიენტების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ცენტრალურ დეპოზიტარს, შეუძლია განახორციელოს არასაბირჟო ფასიანი ქაღალდების ოპერატიული დაშვება ცენტრალური დეპოზიტარის პროცედურების შესაბამისად.

- 11.3. საბირჟო ფასიანი ქაღალდის დაშვება ხორციელდება ცენტრალური დეპოზიტარის წევრის ან იმ ბირჟის რეკომენდაციით, რომელთანაც ცენტრალურ დეპოზიტარს აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობა.
- 11.4. არასაბირჟო ფასიანი ქაღალდის დაშვება ხორციელდება ცენტრალური დეპოზიტარის წევრის რეკომენდაციით და მხოლოდ ისეთი ფასიანი ქაღალდის, რომლის რეესტრს აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ლიცენზირებული რეგისტრატორი ან ნომინალურ მფლობელობაში აქვს დეპოზიტარს (უცხოური ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში), რომლებსაც ცენტრალურ დეპოზიტართან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება საკორესპონდენტო ურთიერთობების შესახებ..
- 11.5. რეკომენდაციას უნდა ჰქონდეს წერილობითი ფორმა და მას უნდა თან დაერთოს ფასიანი ქაღალდის დასაშვებად აუცილებელი დოკუმენტები ცენტრალური დეპოზიტარის საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების შესაბამისად.

## **მუხლი 12. დაშვებულ ფასიან ქაღალდზე ოპერაციების შეჩერება და განახლება**

- 12.1. ცენტრალური დეპოზიტარის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია, ცენტრალური დეპოზიტარისა და მისი წევრების საუკეთესო ინტერესების დასაცავად, დროებით შეაჩეროს ოპერაციები დაშვებულ ფასიან ქაღალდზე, მარეგულირებელი ორგანოს შესაბამისი მითითებით ან თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ფასიანი ქაღალდი არ შეესაბამება ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობას ან/და არსებობს ფასიანი ქაღალდის გადაფორმების პრობლემა ცენტრალური დეპოზიტარისა ან/და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მეშვეობით.
- 12.2. თუ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაშვებულ ფასიან ქაღალდზე ოპერაციების შეჩერების შესახებ, გენერალურმა დირექტორმა ამის შესახებ უნდა აცნობოს წევრებს, ბირჟას (თუ ეს ფასიანი ქაღალდი დაშვებულია ბირჟაზე) შესაბამის რეგისტრატორს ან უცხოურ დეპოზიტარს და, საჭიროების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე დააყენოს საკითხი დაშვებული ფასიანი ქაღალდების სიიდან შეჩერებული ფასიანი ქაღალდის ამოღების შესახებ.
- 12.3. ცენტრალური დეპოზიტარის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია განაახლოს შეჩერებული ოპერაციები დაშვებულ ფასიან ქაღალდზე, თუ აღარ არსებობს ან აღმოფხვრილია ოპერაციების შეჩერების მიზეზები. ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს წევრებს და ბირჟას.

## **მუხლი 13. ფასიანი ქაღალდის ამოღება დაშვებული ფასიანი ქაღალდების სიიდან**

- 13.1. ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაშვებული ფასიანი ქაღალდების სიიდან ფასიანი ქაღალდების ამოღების შესახებ მარეგულირებელი ორგანოს მითითებით ან თუ ეს ფასიანი ქაღალდი არ შეესაბამება ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობას ან არსებობს ფასიანი ქაღალდის

გადაფორმების პრობლემა ცენტრალური დეპოზიტარისა და/ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მეშვეობით.

- 13.2. თუ ცენტრალური დეპოზიტარი ამოიღებს ფასიან ქაღალდს დაშვებული ფასიანი ქაღალდების სიიდან, მაშინ მან უნდა დაარეგისტროს ამ ფასიანი ქაღალდების პოზიცია ანგარიშის მფლობელზე ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან.
- 13.3. თუ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფასიანი ქაღალდის ამოღების შესახებ, მაშინ ცენტრალურმა დეპოზიტარმა ყველა წევრს, ბირჟას (თუ ეს ფასიანი ქაღალდი დაშვებულია ბირჟაზე) შესაბამის რეგისტრატორს ან უცხოურ დეპოზიტარს უნდა აცნობოს ამის თაობაზე საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებით დადგენილ ვადებში.

#### **თავი IV. ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების ანგარიშები**

##### **მუხლი 14. ზოგადი დებულებები**

- 14.1. ანგარიში არის ცენტრალური დეპოზიტარის მიერ წარმოებული ელექტრონული ჩანაწერი, რომელიც ასახავს ანგარიშის მფლობელის მფლობელობაში არსებულ საკუთრების პოზიციებს ცენტრალურ დეპოზიტარში. ანგარიშის მფლობელის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების ან/და ფულადი სახსრების რაოდენობა და მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლებები განისაზღვრება ანგარიშებზე ასახული საკუთრების პოზიციების საფუძველზე.
- 14.2. ფასიანი ქაღალდების ან/და ფულადი სახსრების მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები შექმნილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც საკუთრების პოზიცია აღირიცხება ცენტრალურ დეპოზიტარში ანგარიშის მფლობელის ანგარიშზე. მესაკუთრის ცვლილება ხდება საკუთრების პოზიციის გადატანისას წინა ანგარიშის მფლობელის ანგარიშიდან ახალი ანგარიშის მფლობელის ანგარიშზე.
- 14.3. ცენტრალურ დეპოზიტარში გახსნილი ანგარიში შეიძლება იყოს სამი ტიპის: 1) შენახვის ანგარიში, რომელზეც აღირიცხება თავისუფალი საკუთრების პოზიციები; 2) ბლოკირების ანგარიში, რომელზეც აღირიცხება ვალდებულებებით დატვირთული საკუთრების პოზიციები; 3) სავაჭრო ანგარიში, რომელზეც აღირიცხება ბირჟაზე ვაჭრობისათვის განკუთვნილი საკუთრების პოზიციები.
- 14.4. ანგარიშის მფლობელისა და/ან რეგისტრირებული მესაკუთრის ტიპების მიხედვით, ცენტრალური დეპოზიტარი აწარმოებს შემდეგი კატეგორიის ანგარიშებს: 1) წევრის საკუთარი სახსრების ანგარიში; 2) მოვაჭრე წევრის საკლიენტო ანგარიში; 3) კასტოდიანი წევრის საკლიენტო ომნიბუს ანგარიში; 4) კასტოდიანი წევრის საკლიენტო სეგრეგირებული ანგარიში; 5) საკორესპონდენტო ანგარიში; 6) დროებითი საოპერაციო ანგარიში.
- 14.5. წევრებს, რომლებსაც კანონმდებლობით გააჩნიათ უფლება გახდნენ ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელები, შეუძლიათ გახსნან წევრის საკლიენტო

ანგარიშები, სადაც რეგისტრირებული მესაკუთრის ვინაობა ცნობილია წევრისათვის და, კლიენტის დავალების შესაბამისად, შეიძლება იყოს ან არ იყოს გამჟღავნებული ცენტრალური დეპოზიტარისათვის.

- 14.6. წევრის კლიენტის ანგარიშის გასახსნელად აუცილებელია, რომ წევრს ჰქონდეს თავისი წევრობის სტატუსიდან გამომდინარე უფლება შექმნას კლიენტების ანგარიშები და ასეთი უფლების არსებობის შემთხვევაში უნდა არსებობდეს ხელშეკრულება წევრსა და რეგისტრირებულ მესაკუთრეს შორის, რომლითაც წევრს ენიჭება უფლება გახდეს რეგისტრირებული მესაკუთრის ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელი.
- 14.7. ყველა წევრს შეუძლია გახსნას წევრის საკუთარი სახსრების შენახვის ანგარიში.
- 14.8. კასტოდიან წევრს შეუძლია გახსნას კასტოდიანის საკლიენტო ომნიბუს შენახვის ანგარიშები და კასტოდიანის საკლიენტო სეგრეგირებული შენახვის ანგარიშები.
- 14.9. მოვაჭრე წევრს შეუძლია გახსნას მოვაჭრე წევრის საკლიენტო შენახვის ანგარიშები, რომლებიც სეგრეგირებული უნდა იყოს კლიენტების მიხედვით
- 14.10. წევრის საკლიენტო ანგარიშის გახსნისას წევრი ცენტრალურ დეპოზიტარს უდასტურებს, რომ მას იმ რეგისტრირებულ მესაკუთრესთან, ვისთვისაც ხსნის ანგარიშს, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის შესახებ, რომლითაც ის ასევე უფლებამოსილია გადასცეს ეს ფასიანი ქაღალდები ან/და ფულადი სახსრები ნომინალურ მფლობელობაში ცენტრალურ დეპოზიტარს. წევრი, რომელიც ხსნის წევრის საკლიენტო ანგარიშს, მოვალეა თავის ჩანაწერებში მოახდინოს ამ ანგარიშზე არსებული საკუთრების პოზიციების რეგისტრირებული მესაკუთრის (მოვაჭრე წევრის მიერ გამონაკლის შემთხვევებში გახსნილი საკლიენტო დროებითი, შენახვის კრებსითი ანგარიშის შემთხვევაში, - ამ ანგარიშზე არსებული საკუთრების პოზიციების რეგისტრირებული მესაკუთრეების) იდენტიფიცირება.
- 14.11. მოვაჭრე წევრს, კონკრეტული ამოცანის განხორციელების მიზნით, გამონაკლისის სახით შეუძლია გახსნას მოვაჭრე წევრის საკლიენტო დროებითი შენახვის კრებსითი (გაერთიანებული) ანგარიში, ამ ანგარიშზე დასაშვებია მოვაჭრე წევრის კლიენტების ფასიანი ქაღალდების ან ფულადი სახსრების აღრიცხვა ერთობლივად, იმ შემთხვევაში თუ: ა) ამ კლიენტებს აქვთ მსგავსი დავალებები მიცემული წევრისათვის (მაგალითად, ერთი და იგივე ფასიანი ქაღალდის მხოლოდ ყიდვა ან გაყიდვა და ა.შ.) და ბ) არსებობს მათი თანხმობა სახსრების გაერთიანებაზე ერთ კრებსით ანგარიშზე. ასეთი ანგარიშის გახსნისთანავე, წევრმა ინსტრუქციებით განსაზღვრული ფორმით უნდა შეატყობინოს ცენტრალურ დეპოზიტარს ამის შესახებ. წევრს ასეთი კრებსითი ანგარიშის შიგნით (კლიენტებს შორის) ეკრძალება რაიმე სახის ტრანზაქციის განხორციელება. დავალებული ამოცანის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთ კვირაში, ანგარიში უნდა დაიხუროს და ამის შესახებ ასევე უნდა მიეწოდოს ცენტრალურ დეპოზიტარს ინფორმაცია ინსტრუქციებით განსაზღვრული ფორმით. მოვაჭრე წევრს ევალება კლიენტებს, რომლებისთვისაც გახსნა გაერთიანებული ანგარიში, გაუხსნას დეპოზიტარში განცალკევებული სეგრეგირებული ანგარიშები ანგარიშსწორებისთვის.

ამ მუხლით გათვალისწინებულ გაერთიანებულ ანგარიშზე წარმოებულ ოპერაციებზე, მათ შორის ანგარიშსწორებაზე, მოვაჭრე წევრს ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა თავისი კლიენტების წინაშე.

14.12. წევრის რეკომენდაციით არაწევრ კლიენტს ეხსნება დროებითი საოპერაციო შენახვის ანგარიში ცენტრალური დეპოზიტარის წესებისა და საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების შესაბამისად.

14.13. ცენტრალურმა დეპოზიტარმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა აწარმოოს შენახვის ანგარიში, როგორც ანგარიშის მფლობელის ძირითადი ანგარიში. ცენტრალური დეპოზიტარი, საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად, ანგარიშთა მფლობელებისთვის ხსნის ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების სხვა ანგარიშებს, სავაჭრო და ბლოკირების ანგარიშების ჩათვლით.

## **თავი V. ფასიანი ქაღალდების შენახვის ანგარიშები**

### **მუხლი 15. ფასიანი ქაღალდების შენახვის ანგარიშის გახსნა**

15.1. ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტებს, მათ შორის წევრს თავისი კლიენტებისათვის ცენტრალურ დეპოზიტარში შეიძლება გაეხსნათ წინამდებარე დებულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდების შენახვის ანგარიშები.

15.2. ანგარიშის მფლობელი ცენტრალურ დეპოზიტართან დადებული მომსახურების (ნომინალური მფლობელობის) ხელშეკრულებით იძენს უფლებას ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან ცენტრალური დეპოზიტარის სახელზე დაარეგისტროს ანგარიშის მფლობელის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდები და ანიჭებს ცენტრალურ დეპოზიტარს უფლებას განახორციელოს სხვა ოპერაციები ამ ფასიან ქაღალდებზე ანგარიშის მფლობელის სახელით. წერილობითი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს ამ წესის დანართ №3-ში მოყვანილი ნიმუშის მიხედვით.

15.3. ფასიანი ქაღალდების დროებითი საოპერაციო ანგარიში იხსნება მხოლოდ ერთი არასაბირჟო გარიგების ანგარიშსწორების განსახორციელებლად.

### **მუხლი 16. ფასიანი ქაღალდების შენახვის ანგარიშის დახურვა**

16.1. ფასიანი ქაღალდების შენახვის ანგარიში შეიძლება დაიხუროს ანგარიშის მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე. ფასიანი ქაღალდების შენახვის ანგარიში დაიხურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასზე და მის შესაბამის ბლოკირებისა და სავაჭრო ანგარიშებზე არ არის დარჩენილი საკუთრების პოზიცია. ცენტრალური დეპოზიტარი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უგზავნის შეტყობინებას ანგარიშის მფლობელს მისი მოთხოვნის შესრულების შესახებ.

16.2. დროებითი საოპერაციო ანგარიში იხურება გარიგების ანგარიშსწორების განხორციელების და ფასიანი ქაღალდების ანგარიშიდან გატანისთანავე, საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების შესაბამისად.

## **მუხლი 17. ფასიანი ქაღალდების დეპონირება და გატანა**

17.1. ფასიანი ქაღალდების დეპონირებისთვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულმა მფლობელმა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს უნდა მისცეს დავალება რეგისტრირებული მფლობელის სახელზე რიცხული ფასიანი ქაღალდების (მთლიანად ან მისი ნაწილის) ცენტრალური დეპოზიტარის, როგორც ნომინალური მფლობელის, სახელზე დასარეგისტრირებლად. ანგარიშის მფლობელის ფასიანი ქაღალდების შენახვის ანგარიში დაშვებული ფასიანი ქაღალდებით დაკრედიტდება, საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების შესაბამისად, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცენტრალური დეპოზიტარი მიიღებს რეგისტრატორის შეტყობინებას ცენტრალური დეპოზიტარის სახელზე ამ ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციის შესახებ. ამის შემდეგ დეპონირება დასრულებულია და საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული ნებისმიერი წარმოქმნილი დავა უნდა მოგვარდეს მხარეთა შეთანხმებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

17.2. ფასიანი ქაღალდების გატანა ნებადართულია ანგარიშის მფლობელის დავალების საფუძველზე, ცენტრალური დეპოზიტარის საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების შესაბამისად და მის მიერ დადგენილი ფორმების გამოყენებით. ეს დავალება უნდა შეიცავდეს მითითებას ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან ანგარიშის მფლობელის სახელზე ფასიანი ქაღალდების დასარეგისტრირების შესახებ. ცენტრალური დეპოზიტარი შესაბამის დავალებას გადასცემს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, რის შემდეგაც გატანა ითვლება დასრულებულად. გატანა დასრულებულია, საბოლოო და საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული ნებისმიერი წარმოქმნილი დავა უნდა მოგვარდეს მხარეთა შეთანხმებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

## **მუხლი 18. ფასიანი ქაღალდების გადარიცხვა**

18.1. ანგარიშის მფლობელმა შესაძლოა მიუთითოს ცენტრალურ დეპოზიტარს გადარიცხოს ფასიანი ქაღალდების თავისუფალი პოზიციები შენახვის ანგარიშიდან შესაბამის სავაჭრო თუ ბლოკირების ანგარიშებზე, ან/და სხვა შენახვის ანგარიშზე. ფასიანი ქაღალდების თავისუფალი პოზიციების სხვა ანგარიშზე გადარიცხვის დავალება კეთდება წერილობით ცენტრალური დეპოზიტარის საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებით განსაზღვრული ფორმით. ამის შემდეგ გადარიცხვა დასრულებულია და საბოლოოა.

18.2. ფასიანი ქაღალდების დროებითი საოპერაციო ანგარიშიდან ფასიანი ქაღალდების გადარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ არასაბირჟო გარიგების კონტრაგენტის ანგარიშზე აღნიშნული გარიგების ანგარიშსწორების მიზნით.

## **მუხლი 19. ცვლილებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საბირჟო გარიგებებთან**

- 19.1. ანგარიშის მფლობელის პირად ინფორმაციაში მომხდარი ცვლილებების აღრიცხვა, საკუთრების პოზიციისა და სხვა ცვლილებების განხორციელება, რომლებიც არ არის დაკავშირებული დადებულ გარიგებებთან, უნდა მოხდეს ანგარიშის მფლობელის დავალების საფუძველზე, დეპოზიტარის წესების შესაბამისად, ან მარეგულირებელი ორგანოს, თვითრეგულირებადი ორგანიზაციის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით დადგენილი წესით.
- 19.2. ამ მუხლის 19.1. პუნქტში მითითებული ცვლილებების შესახებ დავალებები უნდა იყოს სტანდარტიზებული ცენტრალური დეპოზიტარის საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებში განსაზღვრული ფორმითა და შინაარსით.

## **თავი VI. ფულადი სახსრების ანგარიშები**

### **მუხლი 20. ფულადი სახსრების შემნახველი ანგარიშის გახსნა**

- 20.1. ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტებს, მათ შორის წევრს თავისი კლიენტებისათვის ცენტრალურ დეპოზიტარში შეიძლება გაეხსნათ წინამდებარე დებულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული ფულადი სახსრების შენახვის ანგარიშები. ფულადი სახსრების შენახვის ანგარიშის გახსნა ხდება ფასიანი ქაღალდების შენახვის ანგარიშის გახსნასთან ერთად.
- 20.2. ფულადი სახსრების შენახვის დროებითი საოპერაციო ანგარიში იხსნება წევრის რეკომენდაციის საფუძველზე არა წევრი კლიენტისათვის, როგორც ამას მოითხოვს პუნქტი 14.12.

### **მუხლი 21. ფულადი სახსრების ანგარიშის დახურვა**

- 21.1. ფულადი სახსრების შენახვის ანგარიშის დახურვა ხდება ფასიანი ქაღალდების შენახვის ანგარიშის დახურვასთან ერთად, ან ანგარიშის მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე. ფულადი სახსრების შემნახველი ანგარიში დაიხურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ანგარიშებზე არ ირიცხება ფულადი სახსრები. ფულადი სახსრების დროებითი საოპერაციო ანგარიში იხურება არასაბირჟო გარიგების (რომლის გამოც გაიხსნა ანგარიში) ანგარიშსწორების დასრულების და ანგარიშიდან ფულადი სახსრების გატანისთანავე, საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების შესაბამისად. ცენტრალური დეპოზიტარი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უგზავნის შეტყობინებას ანგარიშის დახურვის შესახებ ანგარიშის მფლობელს.

### **მუხლი 22. ფულადი სახსრების დეპონირება**

- 22.1. ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტი საკუთარი ფულადი სახსრების დეპონირებას ახორციელებს მის სახელზე გახსნილ საკლირინგო ანგარიშზე ცენტრალურ დეპოზიტარში, შესაბამის საანგარიშსწორებო ბანკში არსებული მისი საანგარიშსწორებო ანგარიშიდან იმავე ბანკში ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტების კრების

ანგარიშზე შესაბამისი ფულადი სახსრების გადარიცხვით. კლიენტის დეპონირების დავალების და საანგარიშსწორებო ბანკიდან ფულადი სახსრების ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, თუ მათში მითითებული მონაცემები ემთხვევა ერთმანეთს, ცენტრალური დეპოზიტარი კლიენტის საკლირინგო ანგარიშის გავლით უდებონირებს კლიენტს შესაბამის თანხას მისი ფულადი სახსრების შემნახველ ანგარიშზე.

22.2. კლიენტის დეპონირების დავალების და საანგარიშსწორებო ბანკიდან ფულადი სახსრების ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის შედარების შედეგად, მათ შორის თუნდაც ერთი მონაცემის ცდომილების შემთხვევაში, ცენტრალური დეპოზიტარი უგზავნის შეტყობინებას კლიენტს ხარვეზის არსებობის შესახებ, რის შემდეგაც საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებით გათვალისწინებულ ვადაში მისი აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საკლირინგო ანგარიშიდან დროებით რიცხავს ამ სახსრებს კლიენტის სატრანზიტო ანგარიშზე და აჩერებს მათ კლიენტისაგან დეპონირების ახალი დავალების ან სხვა დავალების მიღებამდე.

22.3. იმ შემთხვევაში, თუ ფულადი სახსრები კლიენტისაგან ჩაირიცხა ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტების კრებისით ანგარიშზე და აღირიცხა კლიენტის საკლირინგო ანგარიშზე, მაგრამ ცენტრალურმა დეპოზიტარმა ვერ მიიღო კლიენტისაგან დეპონირების დავალება, ამ შემთხვევაში ცენტრალური დეპოზიტარი დროებით რიცხავს ამ სახსრებს კლიენტის სატრანზიტო ანგარიშზე და აჩერებს მათ კლიენტისაგან დეპონირების ან სხვა დავალების მიღებამდე.

22.4. წევრის კლიენტ(ებ)ის ფულადი სახსრების დეპონირება და შესაბამის შემნახველ ანგარიშ(ებ)ზე განაწილება ხდება საანგარიშსწორებო ბანკში წევრის საკლირინგო კრებისითი ანგარიშის და წევრის საკლირინგო ანგარიშის გამოყენებით 22.1.-22.3. პუნქტების შესაბამისად.

### **მუხლი 23. ფულადი სახსრების გადარიცხვა**

23.1. ფულადი სახსრების თავისუფალი პოზიციების გადარიცხვა შენახვის ანგარიშიდან შესაბამის სავაჭრო (გარდა დროებითი საოპერაციო ანგარიშის მფლობელისა) თუ ბლოკირების ანგარიშებზე, ან/და სხვა შენახვის ანგარიშზე ხორციელდება ცენტრალური დეპოზიტარისათვის წარდგენილი დავალების საფუძველზე. თავისუფალი ფულადი სახსრების სხვა ანგარიშზე გადარიცხვის დავალება კეთდება ცენტრალური დეპოზიტარის საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებით განსაზღვრული ფორმით. ამის შემდეგ გადარიცხვა დასრულებულია და საბოლოოა.

### **მუხლი 24. ფულადი სახსრების გატანა**

24.1. ცენტრალური დეპოზიტარის ყველა კლიენტისათვის, გარდა მოვაჭრე წევრებისა, ფულადი სახსრების გატანა ხორციელდება ანგარიშის მფლობელი კლიენტის დავალებით. საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების შესაბამისად კლიენტის მიერ ცენტრალური დეპოზიტარისათვის ფულადი სახსრების გატანის დავალების წარდგენისთანავე ცენტრალური დეპოზიტარი მის შემნახველ ანგარიშებზე რიცხულ თანხებს სამუშაო დღის ბოლომდე გადარიცხავს იმ კლიენტების საკლირინგო

ანგარიშებზე, შემდგომ კი მათ ანგარიშებზე იმ ბანკებში, რომლებიდანაც ეს თანხები იყო დეკონირებული ცენტრალურ დეპოზიტარში.

**24.2.** მოვაჭრე წევრების მიერ ფულადი სახსრების გატანა ხორციელდება დადებული საბირჟო ან არასაბირჟო გარიგების ცენტრალურ დეპოზიტარში ანგარიშსწორების დასრულებისთანავე, გარდა 24.3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, შემნახველ ანგარიშებზე ჩარიცხული თანხები სამუშაო დღის ბოლომდე გადაირიცხება ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მოვაჭრე წევრების საკლირინგო ანგარიშებზე, შემდგომ კი მათ ანგარიშებზე იმ ბანკებში, რომლებიდანაც ეს თანხები იყო დეკონირებული ცენტრალურ დეპოზიტარში.

24.3. იმ შემთხვევაში, თუ მოვაჭრე წევრს უნდა მომავალ სავაჭრო სესიამდე ფულადი სახსრების დატოვება შემნახველ ანგარიშზე, იგი აძლევს ცენტრალურ დეპოზიტარს დავალებას ფულადი სახსრების დატოვების შესახებ საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების მოთხოვნათა შესაბამისად. ასეთი დავალების მიცემის შემდეგ შემნახველ ანგარიშზე დატოვებული ფულადი სახსრების გატანა ხორციელდება 24.1 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვაჭრე წევრის მიერ ცენტრალური დეპოზიტარისათვის წარდგენილი გატანის დავალების საფუძველზე.

## **თავი VII. ბლოკირების ანგარიშები**

### **მუხლი 25. ბლოკირების ანგარიშები**

25.1. ანგარიშის მფლობელის თავისუფალი პოზიციები შეიძლება დაექვემდებაროს ბლოკირებას. მას შემდეგ, რაც ცენტრალური დეპოზიტარი დაადასტურებს, რომ არსებობს წერილობითი შეთანხმება, სასამართლოს გადაწყვეტილება ან სხვა წერილობითი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს კანონიერ საფუძველს ბლოკირებისთვის და სათანადოდ შეინახავს ამ დოკუმენტის დედანს ან ნოტარიულად დამოწმებულ ასლს, ცენტრალური დეპოზიტარი განახორციელებს ბლოკირებას იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც მითითებულია ხსენებულ დოკუმენტში. ბლოკირებისთანავე, ბლოკირებას დაქვემდებარებული საკუთრების პოზიცია კლასიფიცირდება, როგორც ბლოკირებული პოზიცია და გადაირიცხება ანგარიშის მფლობელის შენახვის ანგარიშიდან მის ბლოკირების ანგარიშზე. ფასიანი ქაღალდების ბლოკირების ანგარიშზე გადარიცხვის დავალება კეთდება წერილობით ცენტრალური დეპოზიტარის საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებით განსაზღვრული ფორმით.

25.2. ფასიანი ქაღალდების ბლოკირება შესაძლოა იქნეს შეწყვეტილი ბლოკირების დავალების გამცემის მოთხოვნის და იმ პირის თანხმობის საფუძველზე, რომლის სასარგებლოდაც განხორციელდა ბლოკირება, ანდა კანონით დაშვებული სხვა გზით. ბლოკირების შეწყვეტისთანავე, ფასიანი ქაღალდების ბლოკირებულ პოზიციას დაუბრუნდება თავისუფალი პოზიციის სტატუსი და გადაირიცხება ანგარიშის მფლობელის ბლოკირების ანგარიშიდან მის შენახვის ანგარიშზე.

25.3. ცენტრალურმა დეპოზიტარმა, ბლოკირების პირობებიდან გამომდინარე, უნდა შეასრულოს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს კანონიერი მითითება ან იმ პირის კანონიერი მოთხოვნა, რომლის სასარგებლოდაც მოხდა ფასიანი ქაღალდების ბლოკირება, ამ ფასიანი ქაღალდების ბლოკირების შეწყვეტის შესახებ და გადარიცხოს ფასიანი ქაღალდები ამ მითითების ან მოთხოვნის შესაბამისად, საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების მოთხოვნათა დაცვით.

25.4. ბლოკირების შექმნის შესახებ დავალება უნდა იყოს სტანდარტიზებული ცენტრალური დეპოზიტარის საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების მიხედვით დადგენილი ფორმითა და შინაარსით.

## **თავი VIII. სავაჭრო ანგარიში**

### **მუხლი 26. ზოგადი დებულებები**

26.1. ფასიანი ქაღალდების სავაჭრო ანგარიშების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ საბირჟო ფასიან ქაღალდზე საბირჟო გარიგების დადების ან ბირჟის სავაჭრო სისტემის გამოყენებით არასაბირჟო გარიგების დაფიქსირების განსახორციელებლად.

26.2. ბირჟაზე ვაჭრობის განხორციელებისთვის, ანგარიშის მფლობელის დავალებით, ყოველი შემნახველი ანგარიშის შესაბამისად (გარდა შენახვის დროებითი საოპერაციო ანგარიშისა), ცენტრალური დეპოზიტარი უხსნის მას სავაჭრო ანგარიშს. ანგარიშის მფლობელი რიცხავს ამ სავაჭრო ანგარიშზე გარკვეულ საინვესტიციო სახსრებს, რომლებსაც ანდობს კონკრეტულ მოვაჭრე წევრს შესაბამის ბირჟაზე ამ სახსრების ფარგლებში ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების განსახორციელებლად. დავალებაში უნდა იყოს მითითებული ის ბირჟა, სადაც უნდა განხორციელდეს ვაჭრობა და ის მოვაჭრე წევრი, რომელსაც ეძლევა ამ სავაჭრო ანგარიშიდან ამ ბირჟაზე ვაჭრობის განხორციელების უფლებამოსილება. მოვაჭრე წევრის საკუთარ და მისი კლიენტებისათვის გახსნილ სავაჭრო ანგარიშებს მართავს თავად ეს წევრი, თუ სავაჭრო ანგარიშის გახსნისას გამონაკლის შემთხვევაში მან არ მოითხოვა ამ ანგარიშ(ებ)ზე არსებული საკუთრების პოზიციების სხვა ვაჭრობის უფლების მქონე წევრის მართვაში (ნომინალურ მფლობელობაში) გადაცემა.

26.3. ანგარიშის მფლობელის დავალებით შეიძლება გაიხსნას იმდენი სავაჭრო ანგარიში, რამდენ მოვაჭრე წევრსაც აძლევს კონკრეტულ ბირჟაზე საბირჟო გარიგების განხორციელების დავალებას ანგარიშის მფლობელი.

26.4. ანგარიშის მფლობელის საინვესტიციო სახსრები ვაჭრობის მიმდინარეობის პერიოდში იბლოკება ამ სავაჭრო ანგარიშებზე ცენტრალური დეპოზიტარის მიერ, რომელსაც (და მართო მას) აქვს ამ ანგარიშებზე არსებული სახსრების განკარგვის უფლება იმ ფარგლებში, რომელსაც იძლევა შემნახველი ანგარიშის მფლობელის დავალებები და შესაბამისი ბირჟის მიერ მოწოდებული ინფორმაცია უფლებამოსილი მოვაჭრე წევრის მიერ ამ სახსრების ფარგლებში დადებული გარიგებების შესახებ.

## მუხლი 27. ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების სავაჭრო ანგარიშების გამოყენება გარიგების ანგარიშსწორებისათვის

- 27.1. ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების გაყიდვის მიზნით ანგარიშის მფლობელი დავალებას აძლევს ცენტრალურ დეპოზიტარს გადარიცხოს საინვესტიციო სახსრები ანგარიშის მფლობელის შენახვის ანგარიშებიდან ანგარიშის მფლობელის სავაჭრო ანგარიშზე. ფასიანი ქაღალდების სავაჭრო ანგარიშზე გადარიცხვის დავალება კეთდება ცენტრალური დეპოზიტარის საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებით განსაზღვრული ფორმით. ბირჟაზე დადებული გარიგების კლირინგისა და ანგარიშსწორებისთვის აუცილებელია სავაჭრო ანგარიშის დაკრედიტება ამ ბირჟის წესებით განსაზღვრული ოდენობის ფასიანი ქაღალდებით ან ფულადი სახსრებით. სავაჭრო ანგარიშზე გადარიცხული ფასიანი ქაღალდები ან ფულადი სახსრები უნდა მოხმარდეს დადებული გარიგების ანგარიშსწორებას ანგარიშსწორების თარიღისათვის.
- 27.2. სავაჭრო ანგარიშებზე საინვესტიციო სახსრების ჩარიცხვა ხდება შესაბამისი შემნახველი ანგარიშებიდან, ხოლო ანგარიშსწორების შემდეგ სავაჭრო ანგარიშებზე დარჩენილი სახსრები (ნაშთი) ცენტრალური დეპოზიტარის მიერ ირიცხება საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების მიხედვით იმ შემნახველ (ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების) ანგარიშებზე, რომლებიდანაც მოხდა სავაჭრო ანგარიშზე საინვესტიციო სახსრების ჩარიცხვა.
- 27.3. ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტმა, გარდა მოვაჭრე წევრებისა, ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების შესყიდვის მიზნით, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ფულადი სახსრების დაკრედიტება საანგარიშსწორებო ბანკში საკუთარ საანგარიშსწორებო ანგარიშზე. ბირჟაზე დადებული გარიგების კლირინგისა და ანგარიშსწორებისთვის საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებით განსაზღვრულ ვადებში აღნიშნულმა კლიენტმა უნდა უზრუნველყოს ბირჟის წესებით განსაზღვრული ოდენობის ფულადი სახსრების ჩარიცხვა ცენტრალური დეპოზიტარის ანგარიშზე საანგარიშსწორებო ბანკში. ცენტრალურმა დეპოზიტარმა ეს ფულადი სახსრები უნდა აღრიცხოს მათ დავალებაში მითითებულ ფულადი სახსრების შენახვის ანგარიშებზე 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. შემდგომ, ბირჟაზე გარიგების დადების მიზნით მისცეს დავალება ცენტრალურ დეპოზიტარს სავაჭრო ანგარიში(ებ)ს გახსნის და მათზე ამ სახსრების გადარიცხვის შესახებ. სავაჭრო ანგარიშების გახსნისას უნდა იყოს მითითებული, თუ რომელ მოვაჭრე წევრს ანდობს ანგარიშის მფლობელი სავაჭრო ანგარიშზე რიცხულ სახსრებს ბირჟაზე გარიგების დასადავად და ამასთანავე უნდა არსებობდეს ამ მოვაჭრე წევრის თანხმობა აღნიშნული სავაჭრო ანგარიშის მართვაზე.
- 27.4. წევრის კლიენტებისთვის ანგარიშსწორების შემდეგ თანხების დაბრუნებაზე პასუხისმგებელია წევრი.

## თავი IX. ბირჟის სავაჭრო სისტემის მეშვეობით დადებული გარიგების კლირინგი და ანგარიშსწორება

### მუხლი 28. ზოგადი დებულებები

- 28.1. ცენტრალური დეპოზიტარი ბირჟაზე ვაჭრობის უფლების მქონე წევრებს უწევს გარიგებათა თანმიმდევრული (გარიგება გარიგების შემდეგ) ანგარიშსწორების მომსახურებას საბირჟო გარიგებებზე. წევრები თანხმდებიან დაემორჩილონ საბირჟო გარიგებების კლირინგის წესებსა და ინსტრუქციებს საოპერაციო პროცედურების შესახებ და შეასრულონ გარიგებათა თანმიმდევრული ანგარიშსწორებისათვის აუცილებელი მოთხოვნები.
- 28.2. ცენტრალური დეპოზიტარის საანგარიშსწორებო მომსახურება ემყარება ფასიანი ქაღალდის გამყიდველი ანგარიშის მფლობელის მიერ ფასიანი ქაღალდების წინასწარი მიწოდების და ფასიანი ქაღალდების მყიდველი ანგარიშის მფლობელის მიერ ფულის წინასწარი გადახდის პრინციპს. ანგარიშსწორებისათვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები და ფულადი სახსრები უნდა აღირიცხოს ანგარიშის მფლობელის სავაჭრო ანგარიშებზე ვაჭრობამდე საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებით განსაზღვრულ ვადებში.

### მუხლი 29. კლირინგი

- 29.1. ინფორმაციას საბირჟო გარიგებების შესახებ ბირჟა აწვდის ცენტრალურ დეპოზიტარს ვაჭრობის განხორციელების დღეს, იმ ფორმითა და ვადებში, როგორც ეს გათვალისწინებულია ბირჟასთან დადებული ხელშეკრულებით და საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებით.
- 29.2. საბირჟო გარიგების შესახებ ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს: გარიგების დადების თარიღი და დრო, გამყიდველი წევრის ვინაობა, მყიდველი წევრის ვინაობა, გამყიდველის ანგარიშის ნომერი (კოდი), მყიდველის ანგარიშის ნომერი (კოდი), ფასიანი ქაღალდის დასახელება, ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, ფასი, რომელშიც მოხდა ფასიანი ქაღალდების ყიდვა თუ გაყიდვა და გარიგების მთლიანი ღირებულება.
- 29.3. საბირჟო გარიგებები ჩაითვლება საბოლოოდ, ამ მუხლის 29.4. პუნქტის გათვალისწინებით, ცენტრალური დეპოზიტარის მიერ ბირჟიდან მათი მიღებისთანავე და წევრებს არა აქვთ მათი შეცვლის ან გაუქმების უფლება.
- 29.4. ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია შეცვალოს ან გააუქმოს საბირჟო გარიგების ანგარიშსწორების შედეგები, მხოლოდ იმ მომენტამდე, სანამ მას არ განუხორციელებია ფულადი სახსრების ბანკში გადარიცხვა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელის ანგარიშზე გადარიცხვა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან:

ა) იმ ბირჟის მოთხოვნით, სადაც დაიდო გარიგება,;

ბ) მარეგულირებელი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

### **მუხლი 30. ანგარიშები საანგარიშსწორებო ბანკში**

- 30.1. საბირჟო გარიგებების ანგარიშსწორების მიზნით, ცენტრალურ დეპოზიტარსა და წევრებს შორის ფულადი სახსრების ურთიერთგადასარიცხად, ყველა წევრმა უნდა გახსნას ანგარიში ცენტრალური დეპოზიტარის მიერ განსაზღვრულ საანგარიშსწორებო ბანკში/ბანკებში. ყველა წევრი ხსნის ასეთ ანგარიშებს იმ წესით, რომელიც უზრუნველყოფს წევრისა და მისი კლიენტების ფულადი სახსრების განცალკევებულ შენახვას, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის შესაბამისად.
- 30.2 საბირჟო გარიგებების ანგარიშსწორების მიზნით, ცენტრალურ დეპოზიტარსა და წევრებს შორის ფულადი სახსრების ურთიერთგადასარიცხად, ცენტრალური დეპოზიტარი ხსნის ანგარიშებს ყველა საანგარიშსწორებო ბანკში. ცენტრალური დეპოზიტარი ხსნის ასეთ ანგარიშებს იმ წესით, რომელიც უზრუნველყოფს წევრისა და მისი კლიენტების ფულადი სახსრების განცალკევებულ შენახვას ცენტრალური დეპოზიტარის ფულადი სახსრებისაგან, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის შესაბამისად.
- 30.3. ცენტრალური დეპოზიტარის არაწევრმა კლიენტებმა გარიგებების ანგარიშსწორების მიზნით, უნდა გახსნან ანგარიში ცენტრალური დეპოზიტარის მიერ განსაზღვრულ ერთ-ერთ საანგარიშსწორებო ბანკში და ცენტრალურ დეპოზიტართან ფულადი სახსრების ურთიერთგადასარიცხად ისარგებლონ ამ ანგარიშით. ამ ანგარიშის რეკვიზიტები უნდა იყოს წარმოდგენილი შემნახველი ანგარიშის გახსნის დროს.

### **მუხლი 31. საკლირინგო ანგარიშები**

- 31.1. ცენტრალურ დეპოზიტარსა და მის წევრებსა და კლიენტებს შორის ფულადი სახსრების მოძრაობას ცენტრალური დეპოზიტარი აღრიცხავს ამ მიზნისთვის შექმნილ საკლირინგო ანგარიშებზე, ცენტრალური დეპოზიტარის საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების შესაბამისად.

### **მუხლი 32. ბირჟის სავაჭრო სისტემის მეშვეობით დადებული გარიგებების ანგარიშსწორება**

- 32.1. ანგარიშსწორების დღეს ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებულია გამყიდველის ფასიანი ქაღალდების სავაჭრო ანგარიშიდან გადარიცხოს მყიდველის ფასიანი ქაღალდების სავაჭრო ანგარიშზე გარიგებაში მითითებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, იმ პირობით თუ გამყიდველის ფასიანი ქაღალდების სავაჭრო ანგარიშზე არსებობს საკმარისი რაოდენობის ფასიანი ქაღალდები და მყიდველის ფულადი სახსრების სავაჭრო ანგარიშზე - ანგარიშსწორებისთვის საჭირო თანხა.
- 32.2. ანგარიშსწორების დღეს, თუ ფასიანი ქაღალდების გამყიდველის სავაჭრო ანგარიშიდან მყიდველის ფასიანი ქაღალდების სავაჭრო ანგარიშზე გადაცემის პირობები დაკმაყოფილებულია, ცენტრალური დეპოზიტარი ფულად სახსრებს გადარიცხავს

მყიდველის სავაჭრო ანგარიშიდან გამყიდველის სავაჭრო ანგარიშზე, და შემდგომ მოქმედებს, 22.3., 25.1. ან 27.4. პუნქტების შესაბამისად.

- 32.21. გარიგების პირობების და ცენტრალური დეპოზიტარის წესების შესაბამისად. საბირჟო გარიგების შემთხვევაში, ანგარიშსწორების თარიღი დგინდება იმ ბირჟის წესების შესაბამისად, სადაც იდება გარიგება. ამ წესების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ეხება ცენტრალური დეპოზიტარის მომსახურებას, შეთანხმებული უნდა იყოს ბირჟასა და ცენტრალურ დეპოზიტარს შორის.
- 32.3. თუ გამყიდველის სავაჭრო ანგარიშიდან მყიდველის ფასიანი ქაღალდების სავაჭრო ანგარიშზე ფასიანი ქაღალდების გადაცემის 32.1. ქვეპუნქტში მითითებული პირობები არ კმაყოფილდება ანგარიშსწორების დღეს, ცენტრალური დეპოზიტარი დააბრუნებს ფასიან ქაღალდებს გამყიდველის ფასიანი ქაღალდების სავაჭრო ანგარიშიდან შესაბამისი შენახვის ანგარიშზე, ხოლო მყიდველის ფულად სახსრებს გადარიცხავს წევრის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე 22.3., 25.1. ან 27.4. პუნქტების შესაბამისად.
- 32.4. ცენტრალური დეპოზიტარი არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებს წევრსა და მის კლიენტებს შორის ანგარიშსწორების სიზუსტეზე, დროულობასა და სისრულეზე.
- 32.5. ცენტრალური დეპოზიტარი არ არის პასუხისმგებელი საანგარიშსწორებო ბანკის მიერ წევრის ან დეპოზიტარის დავალების შეუსრულებლობაზე ან არასრულად (არასწორად) შესრულებაზე.

**მუხლი 33. საბირჟო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგების დაფიქსირება ბირჟის სავაჭრო სისტემის მეშვეობით**

- 33.1. საბირჟო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგების დაფიქსირება წევრების მიერ შესაძლებელია, როგორც ბირჟის სავაჭრო სისტემის გამოყენებით, ისე მის გარეშე კანონისა და ბირჟის წესების შესაბამისად.
- 33.2. ბირჟის სავაჭრო სისტემის გამოყენებით არასაბირჟო გარიგების დაფიქსირება შესაძლებელია ნებისმიერ დროს ბირჟისა და დეპოზიტარის სამუშაო საათებში, გარდა საბირჟო ვაჭრობის დღეებში სავაჭრო სესიებისათვის განკუთვნილი დროისა.
- 33.3. ბირჟის სავაჭრო სისტემის მეშვეობით არასაბირჟო გარიგების დაფიქსირების შემთხვევაში, გარიგება შესაძლებელია იყოს უზრუნველყოფილი ფულით ან ფულადი უზრუნველყოფის გარეშე.
- 33.4. ბირჟის სავაჭრო სისტემის გამოყენებით არასაბირჟო გარიგების დაფიქსირებისას, თუ გარიგება უზრუნველყოფილია ფულით, ცენტრალური დეპოზიტარი მიმართავს წინამდებარე წესის V და VIII-IX თავებით გათვალისწინებულ ოპერაციებსა და პროცედურებს. ამ შემთხვევაში, სავაჭრო ანგარიშების დაკრედიტება შესაძლებელია გარიგებისათვის გამიზნული ნებისმიერი ოდენობის ფასიანი ქაღალდებით და ფულადი სახსრებით.

33.5. ბირჟის სავაჭრო სისტემის გამოყენებით არასაბირჟო გარიგების დაფიქსირებისას, თუ გარიგება არ არის უზრუნველყოფილი ფულთ, დეპოზიტარი მიმართავს იგივე ოპერაციებსა და პროცედურებს, გარდა VIII თავის 27-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურებისა. ამ შემთხვევაში ფულადი სავაჭრო ანგარიშების დაკრედიტება ხორციელდება საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებისა და გარიგების მხარეთა მიერ ცენტრალური დეპოზიტარისათვის წარდგენილი შეტყობინება-დადასტურებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

## **თავი X. არასაბირჟო გარიგების ანგარიშსწორება**

### **მუხლი 34. ბირჟის სავაჭრო სისტემის გამოყენების გარეშე დადებული არასაბირჟო გარიგების ანგარიშსწორება**

34.1. ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტებს, აგრეთვე წევრების კლიენტებს ბირჟის სავაჭრო სისტემის გამოყენების გარეშე შეუძლიათ ერთმანეთთან დადონ არასაბირჟო გარიგებები, როგორც საბირჟო, ისე არასაბირჟო ფასიან ქალაქდებაზე, რომელთა ანგარიშსწორებას კლიენტების დავალებით განახორციელებს ცენტრალური დეპოზიტარი. ამისათვის გარიგების ორივე მხარე ან მათი დავალებით ის წევრები, რომელთა კლიენტები არიან გარიგების მხარეები, გარიგების დადებიდან არა უგვიანეს ერთი დღის ვადაში უგზავნის ცენტრალურ დეპოზიტარს შეტყობინება-დადასტურებას დადებული გარიგების შესახებ და შემდგომ ინსტრუქციებს ამ გარიგების ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით ცენტრალური დეპოზიტარის საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებით განსაზღვრული სტანდარტული ფორმით - ცალკე ფასიანი ქალაქდების და ცალკე ფულადი სახსრების ანგარიშსწორებისათვის.

34.2. ცენტრალური დეპოზიტარის მეშვეობით ანგარიშსწორებით საბირჟო ფასიანი ქალაქდებით არასაბირჟო გარიგების დადებისას, კანონმდებლობით გათვალისწინებული დაფიქსირების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ამ გარიგების დადება უნდა მოხდეს მოვაჭრე წევრის მონაწილეობით თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

34.3. არასაბირჟო გარიგების დადების შესახებ შეტყობინება-დადასტურებაში უნდა იყოს მითითებული გარიგების საიდენტიფიკაციო ნომერი, გარიგების დადების თარიღი და სახე (ყიდვა/გაყიდვა), ინსტრუქციის მომცემის ვინაობა და მისი ანგარიშის ნომერი, კონტრაგენტის (გარიგების მეორე მხარის) ვინაობა, ფასიანი ქალაქდის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, გარიგების ფასი და გაყიდული/შესყიდული ფასიანი ქალაქდების რაოდენობა, გარიგების მთლიანი ღირებულება, ფასიანი ქალაქდების და ფულადი სახსრები ანგარიშსწორების დღეები. აგრეთვე უნდა იყოს მითითებული ანგარიშსწორების რა სქემაზე შეთანხმდნენ მხარეები და რამდენ ტრანშად მოხდება ანგარიშსწორება.

34.4. ანგარიშსწორების განხორციელების მიზნით გარიგების მხარეები ან მათი დავალებით ის წევრები, რომელთა კლიენტები არიან გარიგების მხარეები, უგზავნიან ცენტრალურ დეპოზიტარს ინსტრუქციებს ფასიანი ქალაქდებით და ფულადი სახსრებით

ანგარიშსწორების ჩატარებაზე. ორივე ინსტრუქციაში მითითებული უნდა იყოს: შეტყობინება-დადასტურების ან გარიგების საიდენტიფიკაციო ნომერი, გარიგების დადების თარიღი და სახე (ყიდვა/გაყიდვა), ინსტრუქციის მომცემის ვინაობა და მისი ანგარიშის ნომერი, კონტრაგენტის (გარიგების მეორე მხარის) ვინაობა, ფასიანი ქაღალდის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, გარიგების ფასი და გაყიდული/შესყიდული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, გარიგების მთლიანი ღირებულება, ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების დღე, ფულადი სახსრების გადახდის ბოლო თარიღი. გარიგების დადების თარიღსა და ანგარიშსწორების თარიღს შორის უნდა იყოს არა ნაკლებ ერთი დღისა.

34.5. არასაბირჟო გარიგების შემთხვევაში, ანგარიშსწორების თარიღი დგინდება თავად გარიგების მონაწილე მხარეების მიერ და ეტყობინება ცენტრალურ დეპოზიტარს გარიგების ანგარიშსწორებაზე მოწოდებულ დადებული გარიგების შეტყობინება-დადასტურებაში და ანგარიშსწორების ინსტრუქციებში.

34.6. არასაბირჟო გარიგების მხარეთა მოთხოვნით, ურთიერთ გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრალურმა დეპოზიტარმა შესაძლოა განახორციელოს გარიგების ანგარიშსწორებისათვის განკუთვნილი საკუთრების პოზიციების დაბლოკვა, მხარეების მიერ 36.4 პუნქტის თანახმად ცენტრალური დეპოზიტარისათვის წარდგენილ ინსტრუქციაში მითითებული ანგარიშსწორების თარიღამდე .

34.7. ცენტრალური დეპოზიტარი ახორციელებს ანგარიშსწორებას მხოლოდ გარიგების ორივე მხარის ან მათი დავალებით წევრების (რომელთა კლიენტები არიან გარიგების მხარეები) მიერ, მოწოდებულ შეტყობინება-დადასტურებაში და ინსტრუქციებში მითითებული ყველა პირობის სრული დამთხვევის შემთხვევაში. ამ დროს, ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს რამოდენიმე თანმიმდევრული ინსტრუქციის საფუძველზე.

34.8. ცენტრალური დეპოზიტარი ახორციელებს ანგარიშსწორებას ანგარიშსწორების დღეს საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებით განსაზღვრულ დროის პერიოდში (15:30-დან 16:00 საათამდე). ანგარიშსწორების განხორციელების შესახებ ცენტრალური დეპოზიტარი აწვდის ანგარიშს გარიგების ორივე მხარეს იმავე დღეს ან უგზავნის ელექტრონული ფოსტით არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

34.9. ანგარიშსწორების დღეს ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებულია გამყიდველის ფასიანი ქაღალდების შემნახველ ანგარიშიდან გადარიცხოს მყიდველის ფასიანი ქაღალდების შემნახველ ანგარიშზე გარიგებაში (მთლიანად უზრუნველყოფილი გარიგების შემთხვევაში) მითითებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, იმ პირობით თუ გამყიდველის ფასიანი ქაღალდების შემნახველ ანგარიშზე არსებობს საკმარისი რაოდენობის ფასიანი ქაღალდები და მყიდველის ფულადი სახსრების შემნახველ ანგარიშზე - ანგარიშსწორებისთვის საჭირო თანხა.

34.10. ანგარიშსწორების დღეს, თუ ფასიანი ქაღალდების გამყიდველის შემნახველ ანგარიშიდან მყიდველის ფასიანი ქაღალდების შემნახველ ანგარიშზე გადაცემის

პირობები დაკმაყოფილებულია, ცენტრალური დეპოზიტარი ფულად სახსრებს გადარიცხავს მყიდველის შემნახველ ანგარიშიდან გამყიდველის შემნახველ ანგარიშზე.

- 34.11. გარიგების ანგარიშსწორების ჩაშლაში დამნაშავე მხარე ჯარიმდება ცენტრალური დეპოზიტარის სასარგებლოდ დანართი №1-ით განსაზღვრული ოდენობით. ამ თანხის გადახდამდე ცენტრალური დეპოზიტარი იტოვებს უფლებას შესაბამისი ოდენობის ფულადი სახსრები, ან შესაბამისი ღირებულების ფასიანი ქაღალდები დაუბლოკოს ვადის დამრღვევ მხარეს მის ანგარიშზე.
- 34.12. არასაბირჟო გარიგება შესაძლებელია იყოს უზრუნველყოფილი ფულით სრულად ან ნაწილობრივ, ან ფულადი უზრუნველყოფის გარეშე. შესაძლებელია გარიგება იყოს სრულად უზრუნველყოფილი ფულით, მაგრამ არასრულად – ფასიანი ქაღალდებით. ნაწილობრივი უზრუნველყოფის ან არაუზრუნველყოფილი გარიგების შემთხვევაში გარიგების ორივე მხარემ უნდა მიუთითონ ამის შესახებ შეტყობინება-ინსტრუქციებში, აგრეთვე განსაზღვრონ ანგარიშსწორების ზუსტი პირობები და თარიღები.
- 34.13. არასაბირჟო გარიგების ანგარიშსწორება შემნახველი დროებითი საოპერაციო ანგარიშების მფლობელებს შორის ხორციელდება იმ წევრის პასუხისმგებლობით, რომელმაც გაუწია რეკომენდაცია ამ ანგარიშების გახსნას ცენტრალურ დეპოზიტარში.
- 34.14. ცენტრალური დეპოზიტარი არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებს წევრსა და მის კლიენტებს შორის არასაბირჟო გარიგების ანგარიშსწორების სიზუსტეზე, დროულობასა და სისრულეზე.
- 34.15. ცენტრალური დეპოზიტარი არ არის პასუხისმგებელი საანგარიშსწორებო ბანკის მიერ წევრის, კლიენტის ან დეპოზიტარის დავალების შეუსრულებლობაზე ან არასრულად (არასწორად) შესრულებაზე.

## თავი XI. კორპორაციული ქმედებები

### მუხლი 35. ცენტრალური დეპოზიტარის ვალდებულებები

- 35.1. კორპორაციული ქმედებები მოიცავს: გლობალურ ოპერაციებს - კონსოლიდაცია, დანაწევრება, კონვერტაცია, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ემიტენტის საწესდებო კაპიტალის ოდენობასა ან/და სტრუქტურაზე; განაწილებებს - ფულადი და აქციების სახით დივიდენდების, პრემიების განაწილება, ობლიგაციებზე პროცენტების და ობლიგაციების ძირითადი თანხის გადახდა, რაიტების და ვარანტების გაცემა, აქციონერის (პარტნიორის) გარიცხვისას ამ ფასიანი ქაღალდების დანარჩენ ან/და სხვა აქციონერებზე (პარტნიორებზე) გადაცემა; და პრივილეგიებს - სატენდერო შეთავაზებათა წარმართვა, ემისიის შემთხვევაში აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელება, რაიტების და ვარანტების განხორციელება, აქციონერთა საერთო კრების შესახებ შეტყობინების მიწოდება; აგრეთვე კომპანიის გარდაქმნა, შერწყმა ან ნატურით გაყოფა, სახელისა და სტატუსის შეცვლა რომლებიც ეხება ანგარიშის მფლობელს - როგორც რეგისტრირებულ მესაკუთრეს ან როგორც რეგისტრირებული მესაკუთრის წარმომადგენელს (ნომინალურ მფლობელს).

- 35.2. დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ კორპორაციული ქმედების განხორციელება ხდება ემიტენტის სახელით და მისი დავალების საფუძველზე. ცენტრალური დეპოზიტარი მოვალეა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მოთხოვნით წარუდგინოს მას, მათ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად (დანართი №2) მონაცემები ცენტრალურ დეპოზიტარში აღრიცხულ რეგისტრირებულ მესაკუთრეთა და ნომინალურ მფლობელთა შესახებ, შესაბამის ანგარიშებზე - ემიტენტის მიერ დადგენილი სააღრიცხვო თარიღისათვის - რიცხული საკუთრების პოზიციების მითითებით.
- 35.3. ცენტრალურმა დეპოზიტარმა დამოუკიდებელი რეგისტრატორისაგან (ან იმ ბირჟისაგან, რომელსაც უწევს მომსახურებას) მიღებული შეტყობინების საფუძველზე, რომელიც ეხება ემიტენტის მიერ განხორციელებულ კორპორაციულ ქმედებას, უნდა დროებით შეაჩეროს ოპერაციები ამ ემიტენტის ფასიან ქაღალდებზე კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ან/და უნდა შეასრულოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ინსტრუქციები იმ კორპორაციული ქმედების აღრიცხვის მიზნით, რომლებიც იწვევს ცვლილებებს საკუთრების პოზიციებში ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე ცენტრალურ დეპოზიტარში.
- 35.4. კორპორაციული ქმედების განხორციელების შემთხვევაში, ცენტრალური დეპოზიტარი მის მიერ 37.3. პუნქტის მოთხოვნათა თანახმად გატარებული ღონისძიებების შედეგების შესახებ ელექტრონული ფოსტით უგზავნის შეტყობინებას იმ წევრებს რომლებსაც შეეხო ეს ცვლილებები.

### **მუხლი 36. ცენტრალური დეპოზიტარის უფლებები**

- 36.1. მიიღოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისგან მკვეთრი ინსტრუქციები განსახორციელებელი კორპორაციული ქმედებების შესახებ ისეთი, რომ შესაბამისი ფასიანი ქაღალდების ყველა ფლობელის ახალი პოზიცია იყოს ზუსტად გასაზღვრული და საჭიროების შემთხვევაში დამრგვალებული.
- 36.2. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის კლიენტის დავალებით ცენტრალური დეპოზიტარის ნომინალურ მფლობელობაში ისეთი ფასიანი ქაღალდის რეგისტრაციის შემთხვევაში, რომელიც ამ მომენტისათვის არ ირიცხება ცენტრალური დეპოზიტარის ანგარიშზე (არ არის რეგისტრირებული მის სახელზე), მიიღოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისაგან უახლესი ინფორმაცია ემიტენტის და ფასიანი ქაღალდის შესახებ, რომელსაც ფლობს რეგისტრატორი და რომელიც ურთიერთ შეთანხმებულია რეგისტრატორსა და ცენტრალურ დეპოზიტარს შორის.

## თავი XII. ანგარიშგება

### მუხლი 37. ანგარიშგება ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტებისათვის

37.1. ცენტრალური დეპოზიტარი ელექტრონული ფაილების სახით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით კლიენტებს წარუდგენს შემდეგ ანგარიშებს:

37.1.1. ამონაწერს შემნახველი ანგარიშ(ებ)იდან შემდეგ შემთხვევებში:

- ა) წელიწადში ერთჯერ, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, ბოლო კალენდარული დღის მდგომარეობით;
- ბ) კვარტალში ერთჯერ, ყოველი კვარტლის ბოლოს - კვარტლის ბოლო კალენდარული დღის მდგომარეობით;
- გ) მხოლოდ კასტოდიან წევრებს თვეში ერთჯერ, ყოველი კალენდარული თვის ბოლოს, ბოლო კალენდარული დღის მდგომარეობით;
- დ) ბირჟის სავაჭრო სისტემის მეშვეობით დაფიქსირებული არასაბირჟო გარიგების ანგარიშსწორების შემდეგ.
- ე) წევრებს, გარდა მოვაჭრე წევრებისა, საინვესტიციო სახსრების დეპონირების შემთხვევაში ამონაწერს საკუთრების პოზიციებზე.

37.1.2. ანგარიში ბირჟის სავაჭრო სისტემის გამოყენების გარეშე დადებული არასაბირჟო გარიგების შესახებ.

37.1.3. მხოლოდ მოვაჭრე წევრებს - მოვაჭრე წევრის მფლობელობაში არსებული სავაჭრო ანგარიშების პოზიციების სია:

- ა) ყოველი სავაჭრო სესიის წინ („სტარტი“);
- ბ) ყოველი სავაჭრო სესიის ბოლოს („ფინიში“).

37.2. კლიენტების მოთხოვნით ცენტრალური დეპოზიტარი შესაძლებლობის ფარგლებში დამატებით ამზადებს შემდეგ ანგარიშებს:

37.2.1. ამონაწერი ანგარიშიდან, მოთხოვნილი თარიღისათვის;

37.2.2. ანგარიშიდან ბრუნვის ამონაწერი, მოთხოვნილი პერიოდისათვის;

37.2.3. პორტფელის შეფასების ამონაწერი, მოთხოვნილი თარიღისათვის;

37.2.4. სხვა ინფორმაციას, მათი ანგარიშების შესახებ, - მათი მოთხოვნის შესაბამისად.

37.3. მოთხოვნის შემთხვევაში, ცენტრალურ დეპოზიტარს წევრის თანხმობით შეუძლია მიაწოდოს ამონაწერი წევრის კლიენტს, რომლის ვინაობაც გამჟღავნებულია ცენტრალური დეპოზიტარისათვის, მისი ანგარიშიდან.

### მუხლი 38. შეცდომები

38.1. წევრი პასუხისმგებელია, საკუთარ ჩანაწერებთან შედარების გზით, შეამოწმოს 39.1. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშგების სისწორე.

38.2. წევრი, ნებისმიერ ანგარიშგებაში შეცდომის აღმოჩენისთანავე, მოვალეა საოპერაციო პროცედურებით განსაზღვრულ ვადაში აცნობოს ცენტრალურ დეპოზიტარს ამის

შესახებ. თუ წევრი ამ ვადაში, საოპერაციო პროცედურებით განსაზღვრული წესით, არ შეატყობინებს ცენტრალურ დეპოზიტარს გამოსასწორებელი შეცდომის შესახებ, მაშინ მას შემდგომში აღარ ექნება უფლება წაუყენოს პრეტენზია ცენტრალურ დეპოზიტარს ამ შეცდომასთან და მისგან გამომდინარე შედეგებთან დაკავშირებით.

38.3. ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებულია წინამდებარე წესის 31.4. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ მოვაჭრე წევრებს სავაჭრო სესიის დამთავრების შემდეგ მიღებული აქვთ ამ სესიის ბოლოს მათ მფლობელობაში არსებული სავაჭრო ანგარიშების პოზიციების სია, აცნობოს მოვაჭრე წევრებს მისი გაუქმების შესახებ და მიაწოდოს ელექტრონული ფოსტით ახალი ვარიანტი.

### **თავი XIII. პასუხისმგებლობა, კომუნიკაცია, ცვლილებები და დამატებები**

#### **მუხლი 39. შეზღუდვა პასუხისმგებლობაზე**

39.1. ცენტრალური დეპოზიტარი პასუხისმგებელია ყველა იმ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მასთან გახსნილ ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდების თუ ფულადი სახსრების არასწორი დადებებით ან დაკრედიტებით, სხვა ქმედებებით, რომელსაც ცენტრალური დეპოზიტარი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებს. ცენტრალური დეპოზიტარი ასევე პასუხისმგებელია ყველა სხვა პრეტენზიაზე, რომელიც დაკავშირებულია მისი თანამშრომლის ან წარმომადგენლის დაუდევრობით, თაღლითობით ან კრიმინალური ქმედებით მიყენებულ ზარალზე.

39.2. ცენტრალური დეპოზიტარი არ არის პასუხისმგებელი ფასიანი ქაღალდების საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე, რომელიც წარმოიქმნა წევრის (ან ანგარიშის მფლობელის) მიერ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის კანონმდებლობის ან თვითრეგულირებადი ორგანიზაციების წესების შეუსაბამო გამოყენების პრაქტიკის ან წევრისაგან (ან ანგარიშის მფლობელისაგან) არასწორი თუ არასრული დავალების მიღების შედეგად.

39.3. ცენტრალური დეპოზიტარი არ იძლევა გარიგებათა თანმიმდევრული ანგარიშსწორების არანაირ გარანტიას გარიგების მონაწილე მხარეთა მიერ ანგარიშსწორების პირობათა დარღვევის შემთხვევაში. ასეთი დარღვევის შემთხვევაში ანგარიშსწორების ჩაშლაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამრღვევ მხარეს.

#### **მუხლი 40. ცენტრალური დეპოზიტარის გამიჯვნა წევრის პასუხისმგებლობისაგან**

40.1. ყველა წევრი მოვალეა ცენტრალურ დეპოზიტარს აარიდოს პასუხისმგებლობა იმ ზარალზე, ვალდებულებებზე ან გაწეულ ხარჯებზე, მესამე პირთა შეფასებების თუ პრეტენზიების, აგრეთვე სახელმწიფო გადასახადების, მოსაკრებლების თუ სხვა ხარჯების ჩათვლით, რომლებიც როგორღაც უკავშირდება ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე განთავსებულ ნებისმიერ ფასიან ქაღალდს და რომელიც გამოწვეულია წევრის, მისი მმართველი ორგანოს წევრების, თანამშრომლების ან წარმომადგენლების გულგრილობით, დაუდევრობით, შეცდომით, არასწორი ინფორმაციის წარდგენით ან თაღლითობით, გარდა იმ პრეტენზიებისა, რომელიც წარმოიშობა ცენტრალური

დეპოზიტარის, მისი მმართველი ორგანოს წევრების, თანამშრომლების ან წარმომადგენლების დაუდევრობით, თაღლითური ან კრიმინალური ქმედებებით.

#### **მუხლი 41. ფორს-მაჟორი**

41.1. ცენტრალური დეპოზიტარი არ არის პასუხიმგებელი მის მიერ მომსახურების გაწევის ან დავალების შესრულების ჩაშლაზე ან გადადებაზე, თუ ეს გამოწვეულია ბუნებრივი კატაკლიზმით, საბოტაჟით, გაფიცვით, აგრეთვე მექანიკური თუ კომპიუტერული სისტემის დაზიანებით თუ დეფექტით, ელექტრომომარაგების სისტემის დაზიანებით, სამთავრობო დადგენილებით ან სხვა ისეთი მიზეზით, რომელიც, გონიერების ფარგლებში, ცენტრალური დეპოზიტარის კონტროლის სფეროს აღემატება.

#### **მუხლი 42. ინფორმაციის სხვა წყაროებზე დამოკიდებულება**

42.1. ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია ყოველნაირად დაეყრდნოს ბირჟიდან, საანგარიშსწორებო ბანკებიდან და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისაგან მოწოდებულ ინფორმაციას, ყოველ სავაჭრო სესიაზე დადებულ გარიგებათა, აგრეთვე და მის სახელზე ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების ჩარიცხვის შესახებ ანგარიშების ჩათვლით, და არ აგებს პასუხს იმ ზარალზე, რომელიც წარმოიქმნება ინფორმაციის ამ წყაროებზე დაყრდნობის შედეგად.

#### **მუხლი 43. კავშირგაბმულობის მომსახურება**

43.1. როდესაც წევრი იყენებს კავშირგაბმულობის საშუალებებს ინფორმაციის ცენტრალურ დეპოზიტარში გაგზავნის ან მისგან მიღების, ან კიდევ ცენტრალური დეპოზიტარისთვის დავალების მიცემის მიზნით, ცენტრალური დეპოზიტარი არ აგებს პასუხს იმ ინფორმაციის თუ დავალების დამახინჯებასა თუ დაკარგვაზე, რომელიც შესაძლოა თან ახლდეს ამ ინფორმაციის გადაცემას კავშირგაბმულობის არხებით. ამასთან ცენტრალური დეპოზიტარი ყველა ღონეს იხმარს, რომ აღადგინოს ეს დამახინჯებული ან დაკარგული ინფორმაცია თუ დავალება. წევრს არა აქვს უფლება მოსთხოვოს ცენტრალურ დეპოზიტარს იმ ზარალის თუ ხარჯების ანაზღაურება, ან იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც გამოწვეულია პრეტენზიებით კავშირგაბმულობის მომსახურებისადმი.

#### **მუხლი 44. კომუნიკაცია**

44.1. თუ ამ წესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ცენტრალური დეპოზიტარის მიერ წევრებისათვის ყველა შეტყობინება შეიძლება იქნეს მიწოდებული პერსონალურად ან დაზღვეული ფოსტით, ელექტრონული გზით, ტელეფონით ან ფაქსით, ან კომპიუტერულ მონაცემთა გადაცემის ნებისმიერი საშუალებით. შეტყობინება გადაცემულად ჩაითვლება მისი მიღებისთანავე. წევრის მიერ მითითებულ მისამართზე დაზღვეული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში, ეს შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება ფოსტით გაგზავნის თარიღიდან შვიდი სამუშაო დღის თავზე. თუ შეტყობინება წევრს პერსონალურად გადაეცა ასეთ მისამართზე, იგი მიღებულად ჩაითვლება გადაცემისთანავე. თუ შეტყობინება წევრს ცენტრალური დეპოზიტარის მიერ გადაეცა

ელექტრონული ან საკაბელო არხებით, ტელეფონით ან ფაქსით, ან მყისიერი გადაცემის სხვა მექანიზმის გამოყენებით, შეტყობინება ჩაითვლება წევრის მიერ მიღებულად მისი ამგვარი გადაცემის დადასტურებისთანავე.

44.2. წევრის ყველა შეტყობინება ცენტრალური დეპოზიტარისთვის უნდა განხორციელდეს წერილობით და მიეწოდოს პერსონალურად, დაზღვეული ფოსტით ან ფაქსით ქვემოთ მოცემულ მისამართ(ებ)ზე და ფაქსის ნომერზე (ან იმ მისამართ(ებ)ზე ან ფაქსის ნომერზე, რომელსაც დეპოზიტარი დროდადრო მიაწოდებს წევრებს), თუ ამ წესებით ან საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული:

სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი  
0162, თბილისი  
74ა ჭავჭავაძის გამზირი.

ტელეფონი: 22 07 18/49  
ფაქსი: 25 18 76

44.3. ცენტრალური დეპოზიტარისათვის წევრების შეტყობინება მიწოდებულად ჩაითვლება ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მისი მიღებისთანავე. ამ მუხლის 44.2. პუნქტით განსაზღვრულ მისამართზე დაზღვეული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში, წევრის მიერ გაგზავნილი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება ფოსტით გაგზავნის თარიღიდან 7 სამუშაო დღის თავზე (ადგილობრივი გზავნილის შემთხვევაში), თუ ამ ვადაში დაზღვეული წერილი უკან არ დაუბრუნდა გამგზავნს. თუ წევრის შეტყობინება ცენტრალურ დეპოზიტარს გადაეცა პერსონალურად ამ მისამართზე, გადაეცა ელექტრონული ან საკაბელო არხებით, ტელეფონით ან ფაქსით, ან მყისიერი გადაცემის სხვა მექანიზმის გამოყენებით, შეტყობინება ჩაითვლება ცენტრალური დეპოზიტარს მიერ მიღებულად მისი ამგვარი გადაცემის დადასტურებისთანავე.

#### **მუხლი 45. ცვლილებები და დამატებები**

45.1. ამ წესებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. შეთავაზებული ცვლილებების და დამატებების პროექტები, აგრეთვე მათი განმარტებები უნდა დაურიგდეს ყველა წევრს ასეთი ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცებამდე 14 დღით ადრე.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი				
გაწეულ მომსახურებაზე დადგენილი გადასახდელები				
№	მომსახურების დასახელება	პირი, ვისთვისაც მოქმედებს ტარიფი*	ტარიფი	შენიშვნა
<b>I. ფასიანი ქაღალდების ანგარიშების გახსნა/დახურვა, მომსახურება</b>				
1	საკუთარი შემნახველი ანგარიშის გახსნა	1	უფასო	ანგარიშის გახსნისას
	საკუთარი შემნახველი ანგარიშის გახსნა	2	უფასო	ანგარიშის გახსნისას
	საკუთარი შემნახველი ანგარიშის გახსნა	3	უფასო	ანგარიშის გახსნისას
	ომნიბუსის ტიპის შემნახველი ანგარიშის გახსნა	1	\$ 5 000	ანგარიშის გახსნისას
	სეგრეგირებული შემნახველი ანგარიშის გახსნა	1	პირველი ანგარიში - \$ 400 მე-2 - მე-5 ანგარიშები (თითოეულზე) - \$ 50 ყოველი შემდგომი ანგარიში - \$ 25	ანგარიშის გახსნისას
	სეგრეგირებული შემნახველი ანგარიშის გახსნა ომნიბუსის ტიპის ანგარიშის მფლობელისათვის	1	\$ 10	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
	სეგრეგირებული შემნახველი ანგარიშის გახსნა**	3	\$ 0.5 მაგრამ არანაკლებ 1 ლარისა	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
2	საკუთარი ანგარიშის მომსახურება	1	უფასო	ყოველთვიურად, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
	საკუთარი ანგარიშის მომსახურება	2	უფასო	ყოველთვიურად, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
	საკუთარი ანგარიშის მომსახურება	3	უფასო	ყოველთვიურად, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
	ომნიბუსის ტიპის შემნახველი ანგარიშის მომსახურება****	1	\$ 950	ყოველთვიურად, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
	სეგრეგირებული ტიპის შემნახველი ანგარიშის მომსახურება****	1	პირველი - 50-ე ანგარიშები (თითოეულზე) - \$100 51-ე - მე-100 ანგარიშები (თითოეულზე) - \$ 50 ყოველი შემდგომი ანგარიში - \$ 25	ყოველთვიურად, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად

	სეგრეგირებული ტიპის შემნახველი ანგარიშის მომსახურება**	3	\$ 1	ყოველთვიურად, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
3	ანგარიშის რეკვიზიტების შეცვლა/რედაქტირება	0	\$5	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
<b>II. ოპერაციები ფასიან ქაღალდებზე</b>				
4	ადგილობრივი საბირჟო ფასიანი ქაღალდების დაშვება დეპოზიტარის სისტემაში		400	ფასიანი ქაღალდების დაშვების ინიციატორი, ფასიანი ქაღალდების დაშვებამდე
	ადგილობრივი არასაბირჟო ფასიანი ქაღალდების დაშვება დეპოზიტარის სისტემაში		700	ფასიანი ქაღალდების დაშვების ინიციატორი, ფასიანი ქაღალდების დაშვებამდე
5	უცხო ქვეყნების საბირჟო ფასიანი ქაღალდების დაშვება		შეთანხმების საფუძველზე, თითოეულ ფასიან ქაღალდთან დაკავშირებით	ფასიანი ქაღალდების დაშვების ინიციატორი, ფასიანი ქაღალდების დაშვებამდე
	უცხო ქვეყნების არასაბირჟო ფასიანი ქაღალდების დაშვება		შეთანხმების საფუძველზე, თითოეულ ფასიან ქაღალდთან დაკავშირებით	
6	დეპოზიტარის მიერ ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების მიღება ნომინალურ მფლობელობაში**	0	რეესტრის მწარმოებლის ხარჯები + გონივრული სატრანსპორტო ხარჯები	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
7	შემნახველ ანგარიშებს შორის ფასიანი ქაღალდების გადარიცხვა	0	0.1% ფასიანი ქაღალდების ღირებულებიდან***	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
8	ადგილობრივი წილობრივი ფასიანი ქაღალდების შენახვა	1,2,3**	0.015% ფასიანი ქაღალდების ღირებულებიდან***	ყოველთვიურად, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
9	ადგილობრივი სასესხო ფასიანი ქაღალდების შენახვა	1,2,3**	0.005% ფასიანი ქაღალდების ღირებულებიდან***	ყოველთვიურად, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
10	სამთავრობო ფასიანი ქაღალდების შენახვა	1,2,3**	0.003% ფასიანი ქაღალდების ღირებულებიდან***	ყოველთვიურად, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
11	ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ჩამოწერა/გაცემა შემნახველი ანგარიშიდან და რეესტრის მწარმოებელთან ანგარიშის მფლობელის სახელზე დარეგისტრირება**	0	რეესტრის მწარმოებლის ხარჯები + გონივრული სატრანსპორტო ხარჯები	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
<b>III. კლირინგი და ანგარიშსწორება</b>				
12	გადასახდელი საბირჟო გარიგების კლირინგისა და ანგარიშსწორებისათვის (აქციები)	3	0.07% გარიგების ღირებულებიდან	გარიგების თითოეული მხარისათვის, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
13	გადასახდელი საბირჟო გარიგების კლირინგისა და ანგარიშსწორებისათვის (სასესხო ფასიანი ქაღალდები)	3	0.02% გარიგების ღირებულებიდან	გარიგების თითოეული მხარისათვის, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
14	გადასახდელი ბირჟის სავაჭრო სისტემაში დადებული არასაბირჟო გარიგების (აქციები) კლირინგისა და ანგარიშსწორებისათვის	3	0.07% გარიგების ღირებულებიდან	გარიგების თითოეული მხარისათვის, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
15	გადასახდელი ბირჟის სავაჭრო სისტემაში დადებული	3	0.03% გარიგების ღირებულებიდან	გარიგების თითოეული მხარისათვის,

	არასაბირჟო გარიგების (სასესხო ფასიანი ქაღალდები) კლირინგისა და ანგარიშსწორებისათვის			მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
16	გადასახდელი არასაბირჟო ფასიან ქაღალდზე დადებული გარიგების ანგარიშსწორებისათვის	1,2,3	0.1% გარიგების ღირებულებიდან	გარიგების თითოეული მხარისათვის, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
17	გადასახდელი არასაბირჟო ფასიან ქაღალდზე დადებული გარიგების ანგარიშსწორებისათვის	4	0.2% გარიგების ღირებულებიდან	თითოეული მხარისათვის, ანგარიშსწორების განხორციელებამდე
18	ჯარიმები არასაბირჟო ფასიან ქაღალდზე დადებული გარიგების შეუსრულებლობისათვის	0	0.15% გარიგების ღირებულებიდან	თითოეული დამრღვევი მხარისათვის, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
<b>IV. ფულადი სახსრებით ოპერაციების წარმოება</b>				
19	ფულადი სახსრების დეპონირება	0	უფასო	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
20	ფულადი სახსრების გადარიცხვა საქართველოს ფარგლებში ერთი ბანკიდან მეორეში	0	ბანკის ხარჯი + გადასარიცხი თანხის 0.01%	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
21	ფულადი სახსრების გადარიცხვა საზღვარგარეთ	0	ბანკის ხარჯი + გადასარიცხი თანხის 0.01%	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
22	ფულადი სახსრების გადარიცხვა ერთი შემნახველი ანგარიშიდან მეორეზე	0	0.1%	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
23	ფულადი სახსრების და ფასიანი ქაღალდების გადარიცხვა სავაჭრო ანგარიშზე	3**	\$ 0.5 მაგრამ არანაკლებ 1 ლარისა	თითოეულ დავალებაზე, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
	ფულადი სახსრების და ფასიანი ქაღალდების გადარიცხვა სავაჭრო ანგარიშზე, ბროკერის მიმაგრებით	1,2	\$ 1.0 მაგრამ არანაკლებ 2 ლარისა	თითოეულ დავალებაზე, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
24	ფულადი სახსრების კონვერტირება	0	ბანკის ხარჯი + კონვერტაციის თანხის 0.1%	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
25	ფულადი სახსრების შენახვა	1,2,3	უფასო	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
<b>V. ბლოკირების ოპერაციები</b>				
26	ბლოკირება გირაოს მიზნით	1,2,3	\$ 30	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
27	ბლოკირების მოხსნა	1,2,3	\$ 30	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
28	ანგარიშის მფლობელის მოთხოვნით ბლოკირების ანგარიშიდან ამონაწერის გაცემა	1,2,3	\$ 3	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
29	გირაოს დამადასტურებელი საბუთის გაცემა	1,2,3	\$ 5	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
<b>VI. ცენტრალური დეპოზიტარის სხვა მომსახურება</b>				
30	ამონაწერის გაცემა შემნახველი ანგარიშიდან (პროცედურებით გათვალისწინებულ შემთხვევებში)	0	უფასო	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად

31	დამატებითი ამონაწერის გაცემა შემნახველი ანგარიშიდან (პროცედურებით გათვალისწინებულ შემთხვევებში)	0	\$ 0.2 ამონაწერის თითოეული გვერდისათვის, მაგრამ არანაკლებ 1 ლარისა	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
32	ანგარიშიდან ბრუნვის ამონაწერის გაცემა	0	\$ 0.2 ამონაწერის თითოეული გვერდისათვის, მაგრამ არანაკლებ 1 ლარისა	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
33	პორტფელის შეფასების ამონაწერის გაცემა	0	შეთანხმების საფუძველზე	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
34	წევრის თანხმობით, წევრის კლიენტისათვის ანგარიშიდან ამონაწერის გაცემა	1,2,3	\$ 0.2 ამონაწერის თითოეული გვერდისათვის, მაგრამ არანაკლებ 1 ლარისა	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
35	სხვა ინფორმაცია ანგარიშიდან	0	შეთანხმების საფუძველზე	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
36	დავალების ანულისრება ოპერაციის შესრულებამდე	0	იგივე - რაც ანულისრებული დავალებისათვის დაწესებული ტარიფი	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
<b>VII. კორპორაციული ქმედებები</b>				
37	დივიდენდების განაწილება	1,2,3	0.1% დივიდენდის თანხიდან + საბანკო ხარჯი	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
38	დანაწევრების, კონსოლიდაციის და კონვერტაციის განხორციელება	1,2,3	უფასო	
39	წარმომადგენლობა კრებაზე	1,2,3	შეთანხმების საფუძველზე	მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
<b>VIII. სხვა მომსახურება</b>				
40	სხვა მომსახურება	0	შეთანხმების საფუძველზე	

ტარიფები მოცემულია დღგ-ის გარეშე.

გადახდა წარმოებს ლარებში ეროვნული ბანკის კურსით, გარდა უცხოეთიდან არარეზიდენტი წევრის მიერ განხორციელებული გადახდებისა.

გადასახდელების, საურავის და ჯარიმების გადახდა, თუ სხვა რამ არაა მითითებული, უნდა მოხდეს მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, წევრის მიერ პირდაპირი გადახდით ან ცენტრალური დეპოზიტარის მიერ წევრის საკუთარი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის გზით. 5 საბანკო დღის განმავლობაში პირდაპირი გზით გადაუხდელობის ან საკუთარ ანგარიშზე სახსრების არქონის შემთხვევაში, დეპოზიტარს უფლება აქვს ანგარიშის მფლობელს დააკისროს საურავი გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

\* შესაბამისი მომსახურება შეიძლება გაეწიოს მხოლოდ მითითებულ პირებს:

0 - ანგარიშის ყველა მფლობელს, 1 - კასტოდირი წევრს, 2 - ინსტიტუციონალურ წევრს, 3 - მოვაჭრე წევრს, 4 - დროებითი საოპერაციო ანგარიშის მფლობელს.

\*\* ეს გადასახადი მე-3 კატეგორიის წევრებისათვის არ მოქმედებს 2013 წლის 1 იანვრამდე

\*\*\* ფასიანი ქაღალდების ღირებულება განისაზღვრება როგორც ფასიანი ქაღალდების რაოდენობის ნამრავლი მის ფასზე. ამასთან, ფასის განსაზღვრისას, ორგანიზებულ ბაზარზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, დეპოზიტარი ეყრდნობა ამ ბაზრიდან აღებულ ინფორმაციას. ამგვარი ინფორმაციის არარსებობისას ფასიანი ქაღალდის ფასად ჩაითვლება მისი ნომინალი. შენახვის მომსახურების გადასახადის განსაზღვრისას, ფასიანი ქაღალდის ფასის შესახებ ინფორმაცია აიღება კალენდარული თვის ბოლო სამუშაო დღეს ხოლო ფასიანი ქაღალდების რაოდენობად მიიჩნევა კალენდარული თვის განმავლობაში ანგარიშზე არსებული მაქსიმალური ნაშთი.

\*\*\*\* გადახდის ვალდებულება ძალაში შედის პირველი ოპერაციის განხორციელებისთანავე

**ხელშეკრულება**

**საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარსა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შორის**

ქ.თბილისი

„\_\_\_“ \_\_\_\_\_ 201\_ წ.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (შემდგომში „ცენტრალური დეპოზიტარი“, ლიცენზია № 80001) მისი გენერალური დირექტორის - გაიოზ სანაძის სახით და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი \_\_\_\_\_ (შემდგომში „რეგისტრატორი“, ლიცენზია № \_\_\_\_\_) მისი დირექტორის \_\_\_\_\_ სახით, შემდგომში მოიხსენებიან როგორც მხარეები, დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ცენტრალური დეპოზიტარის მიერ ნომინალური ფლობის უზრუნველყოფის მიზნით ფასიანი ქაღალდების დეპონირების, ფასიანი ქაღალდების გაცემის და ემიტენტის მიერ კორპორატიული მოქმედებების ჩატარებისას, ცენტრალურ დეპოზიტარსა და რეგისტრატორს შორის ურთიერთ-ქმედების წესის განსაზღვრა და შესრულების უზრუნველყოფა.

**2. მხარეთა უფლება - მოვალეობანი**

2.1. “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” საქართველოს კანონის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს (შემდგომში “მარეგულირებელი ორგანო”) მარეგულირებელი წესების და სხვა ნორმატიული აქტების, საკუთარი წესების და პროცედურების შესაბამისად, მხარეები იღებენ ვალდებულებას:

2.1.1. ერთი კვირის ვადაში მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია მათ სტატუსში, წესებში, სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ;

2.1.2. მიაწოდონ ერთმანეთს დაუყონებლივ ინფორმაცია მათთვის ცნობილი არსებითი ფაქტების შესახებ, იმ ემიტენტების მიმართ, რომლის ფასიანი ქაღალდები იმყოფება ცენტრალური დეპოზიტარის ნომინალურ მფლობელობაში, ხოლო სამი დღის ვადაში ამ ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტები;

2.1.3. ნაკისრი ვალდებულებები შეასრულონ დროულად და კეთილსინდისიერად;

2.1.4. ყოველი თვის ბოლო რიცხვის მდგომარეობით ჩაატარონ შედარება ცენტრალური დეპოზიტარის ნომინალურ მფლობელობაში მყოფი ყველა ფასიანი ქაღალდის მიმართ, რომლის რეესტრსაც აწარმოებს რეგისტრატორი, რისთვისაც მომდევნო სამუშაო დღეს:

ა) რეგისტრატორი აწვდის ცენტრალური დეპოზიტარის ანგარიშზე შესაბამისი ფასიანი ქაღალდების ბრუნვის უწყისებს (დანართი №1);

ბ) ცენტრალური დეპოზიტარი ადარებს მას რეგისტრატორის მიერ უკანასკნელი თარიღისათვის გაცემულ რეესტრიდან ამონაწერს და შეუსაბამობის შემთხვევაში ერთი დღის ვადაში აწოდებს მას ინფორმაციას იმ ოპერაციების შესახებ, რომლის შედეგად, მისი ვარაუდით, წარმოიქმნა შეუსაბამობა;

გ) ყოველი თვის ბოლო რიცხვიდან სამი სამუშაო დღის ვადაში მხარეები, მათი კომპეტენციის და პასუხისმგებლობის ფარგვლებში ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა აუცილებელი ზომები ურთიერთშედეგების გზით აღმოჩენილი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

2.2. გარდა ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტში ჩამოთვლილი ვალდებულებებისა ცენტრალური დეპოზიტარი დამატებით ვალდებულია:

2.2.1. წარუდგინოს რეგისტრატორს, ანგარიშის გახსნისათვის საჭირო ინფორმაცია და შემდგომში ერთი კვირის ვადაში აცნობოს მასში ყველა ცვლილების შესახებ (ანგარიშის გახსნისთვის საჭირო ინფორმაცია ერთვის ხელშეკრულებას, დანართი №2).

2.2.2. წარუდგინოს რეგისტრატორს გადასაცემი განკარგულება (იხ. დანართი №3) ცენტრალური დეპოზიტარის ნომინალური მფლობელობის ანგარიშიდან მითითებული პირის ანგარიშზე ფასიანი ქაღალდების გადარიცხვის შესახებ.

2.2.3. კანონმდებლობით განსაზღვრული სააღრიცხვო თარიღიდან სამი სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს რეგისტრატორს მის ნომინალურ მფლობელობაში მყოფი ფასიანი ქაღალდების შესახებ, შემდეგი ინფორმაცია:

2.2.3.1 რეგისტრირებულ მესაკუთრეთა სია, რომელთა ფასიანი ქაღალდების პირველი საფეხურის ნომინალურ მფლობელს წარმოადგენს ცენტრალური დეპოზიტარი, მათი იდენტიფიცირებისათვის საჭირო ინფორმაციისა და თითოეულის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების ოდენობის მითითებით.

2.2.3.2 ნომინალურ მფლობელთა სია, რომელთა ფასიანი ქაღალდების მომდევნო საფეხურის ნომინალურ მფლობელსაც წარმოადგენს ცენტრალური დეპოზიტარი, მათი იდენტიფიცირებისათვის საჭირო ინფორმაციისა და თითოეულის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების ოდენობის მითითებით;

2.2.4. ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ერთი კვირის ვადაში გადასცეს რეგისტრატორს ინფორმაცია:

2.2.4.1. ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მის სისტემაში დაშვებული ფასიანი ქაღალდების სია;

2.2.4.2 ცენტრალური დეპოზიტარის მოქმედი მონაწილეების (წევრების), ლიცენზირებული საბროკერო კომპანიების სია, რომლებსაც აქვთ ცენტრალური დეპოზიტარის მომსახურებით სარგებლობის უფლება;

2.2.4.3. ამ ინფორმაციაში მომხვდარი ცვლილებების შესახებ დაუყონებლივ შეატყობინოს მას წერილობით;

2.2.5. რეგისტრატორის მიერ მიღებულ ინფორმაციაში შეუსაბამობის აღმოჩენის და ცენტრალურ დეპოზიტარისათვის ამის შესახებ შეტყობინების შემთხვევაში, ერთი სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს რეგისტრატორს დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტი (უკანასკნელი თარიღით რეგისტრატორის მიერ გაცემული ამონაწერი რეესტრიდან).

2.2.6. მიიღოს რეგისტრატორის დასაბუთებული თხოვნა მის მიერ მითითებული ფასიანი ქაღალდების ყველა, ან მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების დროებზე შეჩერების შესახებ (მაგალითად: გლობალური ოპერაციების შესრულების პერიოდში, ინვესტორებისათვის უარყოფითი, ან გაურკვეველი არსებითი ფაქტების არსებობის შემთხვევაში, ემიტენტის ერთ რეგისტრატორიდან მეორესთან გადასვლის პერიოდში და სხვა).

2.2.7. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება რეგისტრატორს გაუწიოს ანაზღაურების გარეშე.

2.3. გარდა ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტში ჩამოთვლილი ვალდებულებებისა რეგისტრატორი ვალდებულია:

2.3.1. ცენტრალური დეპოზიტარის ნომინალურ მფლობელობაში ან მისი ნომინალური მფლობელობიდან ფასიანი ქაღალდების გადაცემის ყოველი დავალების მიღების შემდეგ, იმავე დღეს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები დავალებაში მითითებული ფასიანი ქაღალდების რეესტრში და შეატყობინოს ცენტრალურ დეპოზიტარს შესრულებული ოპერაციის შესახებ;

2.3.1.1. ცენტრალური დეპოზიტარის ანგარიშიდან ამონაწერის (გადასაცემი განკარგულების რეგისტრატორის მიერ ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული ასლის თანდართვით) იმავე დღეს ფაქსით მიწოდების, ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში - ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

2.3.1.2. არსებული “ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესი”-ს მე-VIII მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების) შესაბამისად მიაწოდოს ცენტრალურ დეპოზიტარს პირველადი დოკუმენტის დედანი საკურიერო მეთოდით;

2.3.2. შეატყობინოს ცენტრალურ დეპოზიტარს, მის ნომინალურ მფლობელობაში არსებული იმ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მიმართ ჩასატარებელი გლობალური (კონსოლიდაცია, დანაწევრება, კოვერტაცია) ან კორპორატიული (აქციონერთა კრების ჩატარება, შერწყმა, დაშლა, კაპიტალის რეორგანიზაცია, დივიდენდების გაცემა და სხვა) ოპერაციების და ქმედებების, ასევე ჩატარების ვადის შესახებ, რომლის რეესტრს აწარმოებს რეგისტრატორი, ემიტენტისგან აღნიშნული ინფორმაციის მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს ოპერაციის ჩატარების დაწყებამდე ერთი დღით ადრე;

2.3.3. სამი დღის ვადაში წარუდგინოს ცენტრალურ დეპოზიტარს მისი, როგორც ნომინალური მფლობელის ანგარიშზე ჩატარებული გლობალური ოპერაციების დამადასტურებელი დოკუმენტები (ცენტრალური დეპოზიტარის ანგარიშიდან ამონაწერი), აგრეთვე ემიტენტის მიერ მიწოდებული იმ დოკუმენტების მის მიერ დამოწმებული (ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული) ასლები, რომლის მიხედვითაც ეს ოპერაციები ტარდება (ცვლილებები წესდებაში, სასამართლოს დადგენილებები, გლობალური ოპერაციის კოეფიციენტი, მისი გაანგარიშების წესი და სხვა).

2.3.4. მიიღოს ცენტრალური დეპოზიტარის მიერ დამოწმებული, რეგისტრირებული მფლობელის გადასაცემი განკარგულება (იხ. დანართი №3) ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემის შესახებ;

2.3.5. ცენტრალურ დეპოზიტარს ნომინალურ მფლობელობაში გადასცეს მხოლოდ ცენტრალური დეპოზიტარის მიერ დაშვებული ფასიანი ქაღალდები;

2.3.6. შედარების ჩატარებისას და მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაციის შეუსაბამობის შემთხვევაში, ერთი დღის ვადაში აცნობოს ამის შესახებ ცენტრალურ დეპოზიტარს და მიიღოს ზომები ამ შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად ურთიერთშედარების გზით;

2.3.7. ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ერთი კვირის ვადაში გადასცეს ცენტრალურ დეპოზიტარს ინფორმაცია მის შესახებ, დანართი №4-ში მოყვანილი ნიმუშის შესაბამისად;

2.3.8. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ცენტრალურ დეპოზიტარს გაუწიოს ანაზღაურების გარეშე.

### ***3. მხარეთა პასუხისმგებლობა***

3.1. მხარეები, ითვალისწინებენ რა, საერთო პასუხისმგებლობას ემიტენტების, აქციონერების და ინვესტორების წინაშე ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტურობის, სანდოობის და გამჭვირვალობის განვითარებაში და ცდილობენ ყველა სადაო საკითხი გადაწყვიტონ ურთიერთმოლაპარაკების გზით;

3.2. რეგისტრატორი, რომლის ინფორმაციის საფუძველზეც ფუნქციონირებს ცენტრალური დეპოზიტარი, მოვალეა აარიდოს მას პასუხისმგებლობა იმ ზარალზე, ვალდებულებებზე ან გაწეულ ხარჯებზე, მესამე პირთა შეფასებების თუ პრეტენზიების, რომლებიც როგორღაც უკავშირდება ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე განთავსებულ ნებისმიერ ფასიან ქაღალდს და რომელიც გამოწვეულია რეგისტრატორის, მისი თანამდებობის პირების, თანამშრომლების ან წარმომადგენლების გულგრილობით, დაუდევრობით, შეცდომით, არასწორი ინფორმაციის წარდგენით ან თაღლითობით, გარდა იმ პრეტენზიებისა, რომელიც წარმოიშობა ცენტრალური

დეპოზიტარის, მისი თანამდებობის პირების, თანამშრომლების ან წარმომადგენლების დაუდევრობით, შეცდომით ან თაღლითური ქმედებებით.

3.3. მხარეებმა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ერთმანეთს სრულად უნდა აუნაზღაურონ მიყენებული ზიანი.

3.4. მხარეები, ამ ხელშეკრულების 3.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ჯარიმის სახით უხდიან ერთი თვის განმავლობაში მეორე მხარეს გადასახდელი თანხის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

#### **4. სადავო საკითხების გადაწყვეტის ფორმა და წესი**

4.1. მხარეებს შორის წამოჭრილი სადავო საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა ურთიერთმოლაპარაკებით;

4.2. მხარემ, რომელსაც გააჩნია პრეტენზია წერილობით უნდა მიმართოსკმეორე მხარეს და დაუთქვას გონივრული ვადა დარღვევის გამოსასწორებლად ან/და სათანადო კომპენსაციის მისაღებად;

4.3. თუ მხარეებს შორის ვერ მოხერხდება ურთიერთმოლაპარაკებით სადავო საკითხის გადაწყვეტა, რომელიც გამომდინარეობს ამ ხელშეკრულებიდან, მაშინ მათ შორის დავას განიხილავს სასამართლო.

#### **5. ფორსმაჟორული პირობები**

5.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს, თუ ეს გამოწვეულია საყოველთაოდ აღიარებული ფორსმაჟორული პირობების (ომი, სამოქალაქო გადატრიალება, სტიქიური უბედურებები და სხვა) დადგომის შედეგად;

5.2. მხარე, რომელიც აღმოჩნდა ფორსმაჟორული პირობების მოქმედების სფეროში ვალდებულია ამ პირობების დადგომის და დამთავრების შესახებ შეძლებისდაგვარად სასწრაფოდ, აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს;

5.3. ამ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის მოთხოვნათა დაუცველობა მხარეს ართმევს უფლებას თავი იმართლოს ფორსმაჟორული პირობების დადგომის შემთხვევაში;

5.4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა გადაიწევს ფორსმაჟორული პირობების მოქმედების ვადით;

5.5. იმ შემთხვევაში, თუ ფორსმაჟორული პირობები გაგრძელდება ორ თვეზე მეტი ვადით, მაშინ მეორე მხარეს აქვს უფლება გამოაცხადოს ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტის შესახებ.

#### **6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები**

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან და დადებულია 1 წლის ვადით.

6.2. მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ორი კვირით ადრე ერთმანეთს აცნობონ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ ასეთი შეტყობინება მხარეების მიერ არ გაეგზავნებათ ერთმანეთს, მაშინ წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად ჩაითვლება გაგრძელებულად ერთი წლის ვადით.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეების ურთიერთ-თანხმობის შემთხვევაში, თუ შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე ამის შესახებ აცნობებენ ერთმანეთს.

6.4. წინამდებარე ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე, თუ რომელიმე მხარე არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და მის მიმართ უშედეგოდ იქნა გამოყენებული ამ ხელშეკრულების 4.2. პუნქტის მოთხოვნები ან შექმნილი ვითარებიდანააშკარაა, რომ ერთ-ერთი მხარე ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

### **7. დამატებითი პირობები**

- 7.1. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით და გაფორმებული უნდა იქნას წერილობითი ფორმით.
- 7.2. ცენტრალური დეპოზიტარის წესებში და საოპერაციო პროცედურებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა წარმოადგენს ამ ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს.
- 7.3. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების ხელმოწერის შემდეგ ისინი გახდებიან ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

### **8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა**

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების  
ცენტრალური დეპოზიტარი“

რეგისტრატორი

0162, თბილისი  
ილია ჭავჭავაძის გამზირი 74ა

გენერალური დირექტორი

---

გაიოზ სანაძე



**ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**

**საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის შესახებ**

**1. სრული ოფიციალური დასახელება:**

სს “საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი”

**2. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა:**

სააქციო საზოგადოება

**3. სახელმწიფო რეგისტრაციის:**

ნომერი – № 5/5-120, თარიღი: 7 დეკემბერი 2004წ.

**4. მარეგისტრირებელი ორგანო:**

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლო

**5. იურიდიული და საფოსტო მისამართი:**

0162, ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 74ა

**6. ტელეფონი: (995-32) 22-07-18/49**

**7. ფაქსი: (995-32) 25-18-76**

**8. ოფიციალური პირი გენერალური დირექტორი: გაიოზ სანაძე**

**9. საკონტაქტო პირი: ნინო დოლიძე ტელეფონი: (995-32) 22-07-18**

**10. ანგარიშსწორების ანგარიშები:**

ა) საქართველოს ბანკი – კოდი 220101502 ანგარიშის № 19467442

ბ) თიბისი ბანკი – კოდი 220101830 ანგარიშის № 16467963

გ) გაერთიანებული ქართული ბანკის მთაწმინდის ფილიალი –  
კოდი 220101666 ანგარიშის № 25467606

დ) ბანკი ქართუ – კოდი 220101081 ანგარიშის № 200467387

**11. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიის ნომერი - №80001, 2000 წ. 1 მარტი.**

**12. ვებ-საიტი: [www//GCSD.ge](http://www/GCSD.ge)**

**13. ელექტრონული ფოსტა: [deporeg// GCSD.ge](mailto:deporeg//GCSD.ge)**

**14. უფლებამოსილი წარმომადგენლები, მათი ხელმოწერებისა და იურიდიული პირის ბეჭდის ნიმუშები**

გაიოზ სანაძის \_\_\_\_\_

ნინო დოლიძე \_\_\_\_\_

თამთა ანანიაშვილი \_\_\_\_\_

ირინა წიკლაური \_\_\_\_\_

სს “საქართველოს ფასიანი ქაღალდების  
ცენტრალური დეპოზიტარის”  
ბეჭდის ნიმუში



გ ა დ ა ს ა ც ე მ ი გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № \_\_\_\_\_

« \_\_\_\_ » \_\_\_\_\_ წ.

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს \_\_\_\_\_  
(სრული ოფიციალური დასახელება)

**რეგისტრირებული პირი:**

სახელი, გვარი ან სრული დასახელება \_\_\_\_\_

საიდენტიფიკაციო ნომერი \_\_\_\_\_

პიროვნული ანგარიშის № \_\_\_\_\_

პირის ან უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი \_\_\_\_\_

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი \_\_\_\_\_ სერია \_\_\_\_\_ № \_\_\_\_\_

**გთხოვთ გააკეთოთ სათანადო ჩანაწერი შემდეგი ფასიანი ქაღალდების შესახებ:**

**ფასიანი ქაღალდების ემიტენტი** \_\_\_\_\_  
(სრული ოფიციალური დასახელება)

ფასიანი ქაღალდების კლასი \_\_\_\_\_ ფქსსნ \_\_\_\_\_

რაოდენობა ( \_\_\_\_\_ ) \_\_\_\_\_ ცალი

ნომინალური ღირებულება \_\_\_\_\_

ფასიანი ქაღალდების გადაცემის საფუძველი \_\_\_\_\_

(გაყიდვა, ჩუქება, ნომინალური მფლობელობა და სხვა.)

**შემდეგ პირზე:** \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი ან საწარმოს (დაწესებულების) სრული დასახელება)

**იურიდიული პირისთვის:**

რეგისტრირებულია \_\_\_\_\_ მიერ

რეგისტრაციის თარიღი \_\_\_\_\_ რეგისტრაციის ნომერი \_\_\_\_\_

**ფიზიკური პირისთვის:**

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი \_\_\_\_\_

სერია \_\_\_\_\_ ნომერი \_\_\_\_\_ როდის და ვის მიერ არის გაცემული \_\_\_\_\_

(აღნიშნოს აუცილებელი)

\_\_\_\_\_ მოცემული პირი უკვე არის რეგისტრირებული პირი პიროვნული ანგარიშის შემდეგი ნომრით \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ პიროვნული ანგარიშის გასასხნელად საჭირო მონაცემები მოცემულია ანკეტაში. თანამესაკუთრების შემთხვევაში თან ერთვის ყველა თანამესაკუთრის მონაცემები.

პირი, რომელიც გადასცემს ფასიან ქაღალდებს \_\_\_\_\_ ბ. ა.  
(ხელმოწერა)

თანამესაკუთრები: \_\_\_\_\_  
(ხელმოწერები)

ხელმოწერა დამოწმებულია: \_\_\_\_\_ ბ. ა.  
(ხელმოწერა)

(ფასიანი ქაღალდების მფლობელის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში ხელმოწერა დამოწმებული უნდა იქნას ნოტარიუსის მიერ)

**დოკუმენტი დადასტურებულია \_\_\_\_\_ მიერ \_\_\_\_\_ ბ. ა.**  
(ხელმოწერა)

(დოკუმენტის დადასტურება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ფასიანი ქაღალდების გადაცემა ხორციელდება ბროკერის მიერ)

გადასაცემი განკარგულება რეგისტრირებულია « \_\_\_\_ » \_\_\_\_\_ 201 \_\_\_\_ წ. ნომრით № \_\_\_\_\_

რეგისტრატორი \_\_\_\_\_ ბ. ა.  
(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

♦ მატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების და სერტიფიკატების არსებობის შემთხვევაში, ისინი უნდა წარედგინოს რეგისტრატორს გადასაცემ განკარგულებასთან ერთად.

- ♦ თანამესაკუთრების დროს სავალდებულოა ყველა თანამესაკუთრის ხელმოწერა
- ♦ გადასაცემ განკარგულებას ნომერს ანიჭებს რეგისტრატორი.

1. სრული ოფიციალური დასახელება

---

2. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

---

3. სახელმწიფო რეგისტრაციის:

ნომერი – № \_\_\_\_\_

თარიღი: \_\_\_\_\_

მარეგისტრირებელი ორგანო:

---

4. იურიდიული და საფოსტო მისამართი:

---

5. ტელეფონ(ებ)ი: \_\_\_\_\_

6. ფაქსი: \_\_\_\_\_

7. ოფიციალური პირი ( დირექტორი):

---

9. საკონტაქტო პირი: \_\_\_\_\_ ,

ტელ.: \_\_\_\_\_

10. ანგარიშსწორების ანგარიშები:

---

11. მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიის ნომერი:

№ \_\_\_\_\_

12. ვებ-საიტი:- \_\_\_\_\_

12. ელექტრონული ფოსტა: \_\_\_\_\_

13. უფლებამოსილი წარმომადგენლები, მათი ხელმოწერის და იურიდიული პირის ბეჭდის ნიმუშები

---

---

ბეჭდის ნიმუში:



## ხელშეკრულება

მომსახურებაზე  
ცენტრალურ დეპოზიტარსა და ცენტრალური დეპოზიტარის  
კლიენტს შორის

ქ. თბილისი

" " \_\_\_\_\_წ.

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი" (შემდგომში - „ცენტრალურ დეპოზიტარი“) მისი გენერალური დირექტორის გ. სანაძის სახით, რომელიც მოქმედებს ამ ორგანიზაციის წესდების საფუძველზე ერთის მხრივ და

(სრული იურიდიული სახელწოდება)

(შემდგომში - „კლიენტი“) წარმოდგენილი \_\_\_\_\_  
უფლებამოსილი წარმომადგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი

სახით, რომელიც მოქმედებს \_\_\_\_\_ საფუძველზე,

შემდეგში „მხარეებად“ წოდებულნი დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი:

- 1.1. ხელშეკრულების საგანია ცენტრალური დეპოზიტარის მიერ კლიენტისთვის მომსახურების გაწევა მოქმედი კანონმდებლობის, ცენტრალური დეპოზიტარის წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
- 1.2. ეს ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, მათ ძირითად უფლებამოვალეობებს, ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებს.

### 2. მხარეთა მოვალეობები

- 2.1. ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებულია გააცნოს კლიენტს თავისი წესდება და წესები, აგრეთვე დროულად აცნობოს მათში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.
- 2.2. ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებულია უზრუნველყოს კლიენტი, გამომდინარე მისი წევრობის კატეგორიიდან და მისი მოთხოვნის თანახმად შესაბამისი მომსახურებით, რომელიც განსაზღვრულია სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ წესით (შემდეგში „ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ წესი“).
- 2.3. კლიენტი ვალდებულია განუხრელად დაიცვას ფასიანი ქაღალდების შესახებ მოქმედი კანონმდებლობა, ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ წესი, ცენტრალური დეპოზიტარის სხვა წესები, ინსტრუქციები საოპერაციო პროცედურების შესახებ, წესდება და შინაგანაწესის მოთხოვნები, აგრეთვე დროულად გაეცნოს და დაიცვას მათში შეტანილი ცვლილებები და დამატებები.
- 2.4. კლიენტი ვალდებულია სრულად და დროულად, - დადგენილ ვადებში შეიტანოს ცენტრალური დეპოზიტარის მომსახურებისთვის დადგენილი გადასახდელები და სხვა შესატანები.

### 3. მხარეთა უფლებები

- 3.1. ცენტრალური დეპოზიტარი კლიენტის მიმართ იყენებს კანონმდებლობით, ცენტრალური დეპოზიტარის წესდებით, ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ წესით, ცენტრალური დეპოზიტარის სხვა წესებით,

საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებით და შინაგანაწესის მოთხოვნებით გათვალისწინებულ უფლებებს.

3.2. ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია მოსთხოვოს კლიენტს ამ ხელშეკრულების 2.3 - 2.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

3.3. კლიენტი უფლებამოსილია მოსთხოვოს ცენტრალურ დეპოზიტარს მისი წესებით განსაზღვრულ ვადებში შეასრულოს კლიენტის მიერ მიცემული დავალებები ამ ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.

#### **4. მხარეთა პასუხისმგებლობა:**

4.1. მხარეებმა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ერთმანეთს სრულად უნდა აუნაზღაურონ მიყენებული ზიანი.

4.2. ცენტრალურ დეპოზიტარს უფლება აქვს, ცენტრალური დეპოზიტარის მიერ დადგენილი გადასახდელების ან/და შესატანების არასრულად ან დაგვიანებით შეტანის შემთხვევაში, კლიენტს საურავის სახით დააკისროს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%.

#### **5. სადავო საკითხების გადაწყვეტის ფორმა და წესი**

5.1. მხარეებს შორის წამოჭრილი სადავო საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა ურთიერთმოლაპარაკებით.

5.2. მხარემ, რომელსაც გააჩნია პრეტენზია, წერილობით უნდა მიმართოს მეორე მხარეს და დაუთქვას გონივრული ვადა დარღვევის გამოსასწორებლად ან/და სათანადო კომპენსაციის მისაღებად.

5.3. თუ მხარეებს შორის ვერ მოხერხდება ურთიერთმოლაპარაკებით სადავო საკითხის გადაწყვეტა, რომელიც გამომდინარეობს ამ ხელშეკრულებიდან, მაშინ მათ შორის დავის განსახილველად უნდა მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **6. ფორსმაჟორული პირობები**

6.1. ცენტრალური დეპოზიტარი არ არის პასუხისმგებელი მის მიერ მომსახურების გაწევის ან დავალების შესრულების ჩაშლაზე ან გადადებაზე, თუ ეს გამოწვეულია მისი წესებით განსაზღვრული ფორსმაჟორული პირობების დადგომის შედეგად, მათ შორის ელექტროგადამცემი ან კავშირგაბმულობის ხაზის დაზიანების ან მესამე პირის გამო.

6.2. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს, თუ ეს გამოწვეულია საყოველთაოდ აღიარებული ფორსმაჟორული პირობების (ომი, სტიქიური უბედურება და სხვა) დადგომის გამო.

6.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწვეს ფორსმაჟორული პირობების მოქმედების ვადით, მაგრამ არაუმეტეს ორი თვისა.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ ფორსმაჟორული პირობები გაგრძელდება ორ თვეზე მეტი ვადით, მაშინ ხელშეკრულება ჩაითვლება ვადამდე შეწყვეტილად.

#### **7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები**

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს კლიენტის წევრობის სტატუსის შეწყვეტიდან გამომდინარე მასთან გაფორმებული წევრობის ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის შესახებ მეორე მხარეს ეცნობება ამ ვადამდე 15 კალენდარული დღით ადრე,

წერილობითი სახით. დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული ბეჭდით.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები არ თავისუფლდებიან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის შეუსრულებელი ვალდებულებების (დავალიანების) შესრულებისაგან.

#### **8. დამატებითი პირობები**

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ცენტრალურ დეპოზიტართან, მეორე \_ კლიენტთან.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია, თუ შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

8.3. ამ ხელშეკრულებაში ცლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით და გაფორმებული უნდა იქნას წერილობითი ფორმით.

8.4. ცენტრალური დეპოზიტარის წესებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა არ იძლევა ამ ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს.

#### **9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა**

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების  
ცენტრალური დეპოზიტარი“

კლიენტი

\_\_\_\_\_ (კომპანიის დასახელება)

ილია ჭავჭავაძის გამზირი 74

\_\_\_\_\_ (მისამართი)

დირექტორი

გაიოზ სანაძე

\_\_\_\_\_ " " \_\_\_\_\_ 20\_\_ წ.

\_\_\_\_\_ " " \_\_\_\_\_ 20\_\_ წ.